»N14/3330/ 29 იანვარი, 1 თებერვალი 2016 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE

## მერია ტაქსისტებისთვის რეგულაციებს ამზადებს



10

# ბანკების მევალეები სასამართლოს გზით თანხის დაბრუნებას შეძლებენ

რა კატეგორიას შეეხება ეს და რას ამბობენ პარლამენტში


11

## „საქართველოს ბანკის“ ფარულ ოპერაციაზე მოკვლევა დაიწყო

ომარ ნიშნიანიძე: „... ეს თანხა მთლიანად „საქართველოს ბანკმა“ იყიდა და სად წაიღო, კაცმა არ იცის. ამიტომაც ლარის კურსზე საერთოდ არ იმოქმედა გამოტანილმა თანხამ“

9

# ერთსქესიანთა ქორწინების დასაკანონებლად 5 მილიონი დოლარი შემოვიდა

ვინ ხელმძღვანელობს კულისებიდან პროცესებს და რას აპირებენ ეროვნული ძალები...


3

აი, „ალია“-„ქრონიკის“ აქტიურობის შედეგი — შს მინისტრის მოადგილეები ავტოდილერებს შეხვდნენ


10

ბიძინა ივანიშვილი ნაქირავებში ცხოვრობს... და თურმე, ბანკის სესხებისგან იხრჩობა, ხელფასი თვიდან თვემდე არ ჰყოფნის...


7

უკრაინული „ვიკილიქსი“: სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნებას გეგმავს


2

ამირან გამყრელიძის რეკომენდაციები ორსულებისთვის


4

რა უჯდება სახელმწიფოს ყოფილი თანამდებობის პირების შენახვა


8

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

დათვზე ნადირობის გამო პროკურორი თანამდებობას ტოვებს


8

ადრეც მაგას ამბობდით, ტარიფები არ გაიზრდებაო და კი გვიტოირეთ ყოფის დღე, ბატონო მინისტრო!


9

რა ხდებოდა რეალურად გარდაბანში არჩევნებზე?


4

ზურაბ ზვიადაური: „90-იანი წლები დაბრუნდა“


8

## „ცალკე გასვლის შემთხვევაში, „რესპუბლიკურ პარტიას“ არანაირი შანსი არ აქვს“



– თუ მათ ისტორიას გადავხედავთ, რამდენჯერმე სცადეს პარლამენტში მოხვედრა საკუთარი ძალებით, თუმცა ეს ვერ მოახერხეს, – აცხადებს „ქართული ოცნების“ წევრი ნუკრი ქანთარია.

– ჭკვიანი ხალხია, ამიტომაც კოალიციაში დარჩებიან და თუ საკუთარი ინიციატივით არ გავლენ, არც ჩვენ ვაპირებთ კარების ჩაკეტვას. თუმცა აქვე ვამბობთ, რომ გზა თავისუფალია და თუ ვინმეს მიაჩნია, რომ დამოუკიდებლად რამეს მიაღწევს, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

თუ ჩვენ გავიხსენებთ, რა იყო 2012 წლამდე, ეს იყო გაჩანაგებული პოლიტიკური ოპოზიციური ველი, ნიშანწყალიც კი არ იყო იმისა, რომ რაღაცა მომხდარიყო. ჩვენ ბევრჯერ ვცადეთ გაერთიანება სხვადასხვა ფორმატებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ყველაფერმა მართლაც ჩაილურის წყალი დალია. რომ არა ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევა, მისი ავტორიტეტი, არ იქნებოდა ის, რაც შეიქმნა. დღეს უკვე სხვა საკითხები დგას დღის წესრიგში. დღეს კოალიცია ჯერჯერობით ერთიანია, თუმცა თუ ვინმეს თავისი გზის მონახვა უნდა, ამაში განსაკუთრებული არაფერი არ არის, მაგრამ კოალიციაში შემავალი სუბიექტები ფიქრობენ, რომ მათთვის უპრიანია, რომ ისინი დარჩნენ კოალიციაში, – აცხადებს ნუკრი ქანთარია. (marshalpress.ge)

## „ელისაშვილი მზად არის, ჩვენთან ითანამშრომლოს“ — ანასტასია ზაუტაშვილის ადვოკატი



ადვოკატი ელისაშვილისა და ზაუტაშვილის შეხვედრის შესახებ საუბრობს:

– ადვოკატის დახმარება რომ გვჭირდება ამ საქმეში, ამას ჩვენ ვადასტურებთ, მაგრამ მე ვრჩები კვლავ ზაუტაშვილის ინტერესების დამცველად. გაჟღერდა ინფორმაცია, თითქოს მე ვიყავი პოლიტიკურად ანგაჟირებული და ვითომ ამის გამო მე საქმეს ვშორდებოდი. ეს სისულელეა. პირიქით, ელისაშვილი მზად არის, თვითონაც ითანამშრომლოს ჩვენთან, მისი ნდობით აღჭურვილი ადვოკატიც ჩაერთოს ამ პროცესებში და ისიც დაგვეხმაროს. სხვა საკითხებზე მათ არ უსაუბრიათ. მხოლოდ საქმის გარშემო იყო ლაპარაკი. რაც შეეხება შეხვედრას, ორმხრივი ინიციატივა იყო. ეს ორივეს ინტერესში იყო. ზაუტაშვილი დაუკავშირდა ელისაშვილის ადვოკატს და დაიგეგმა შეხვედრა, – ამბობს ნიკოლაძე. (ნიუპოსტი)

# უკრაინული „ვიკილიკსი“: სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნებას გეგმავს





უკრაინული ვებგვერდი **wikileaks.center** საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადეიშვილის საუბრის სტენოგრამას ავრცელებს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

**მიხეილ სააკაშვილი:** მოდი, ზურა! ზდრასტი, ძმაო, როგორ ხარ?!

**ზურაბ ადეიშვილი:** მიშა, ძირითადათ მოგიყვები, რაც მითხარი საქართველოს თემებზე.

**მიხეილ სააკაშვილი:** იქ იცოდე, სიტუაცია უნდა დავძაბოთ. კარგი იქნება დივერსიები ზუგდიდში, თბილისში, მარნეულში! ბათუმში კიდევ, ნავთობსადენიც კარგი იქნება!

**ზურაბ ადეიშვილი:** მიშა, მე არ ვუჭერ მაგას მხარს. ხო ნახე, შენი დაგეგმილი რომ გაეკეთებინათ „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით, მსხვერპლი მოჰყვებოდა და შედეგიც არ დადგებოდა.

**მიხეილ სააკაშვილი:** შენ, ბიჭო, ტარებს არ ვგულისხმობ, ეგ ცალკე უნდა განვიხილოთ! ჩვენი მთავარი ამოცანაა, პაატას და ლონიას მივხედოთ და ჩვენები იქ გადავანაწილოთ!

**მიხეილ სააკაშვილი:** ბიძინას რესპები რომ ჩამოვაშოროთ? დათო და თინა ვერ იტანენ მაგ პინგვინას. უსუფა მეუბნებოდა, ესეთი გაუნათლებელი არსება არ მინახიაო, რა ვქნა, თავს ვუქნევო. ვაშინგტონიდან მივაწოდებთ ამ თემას და ცალკე გავიდნენ ეგენი პარლამენტში, ესე აჯობებს!

**ზურაბ ადეიშვილი:** მიშა, ძალიან გთხოვ, რა! ეგენი შენ გელაპარაკებიან ასე, სინამდვილეში ბიძინას უძვრებიან. საგარეჯოში რომ დავეხმარეთ, მადლობაც არ შემოუთვლიათ! რესპები არიან ეხლა ხელისუფლებაში, სხვა კი არავინ არის. მერე ეგენი ცალკე რომ გავიდნენ, ბარიერს ვერ გადალახავენ. რესპუბლიკელების გარეშე ოცნება მეტ ხმას აიღებს და რად გვინდა ეგ! მაგას ჯობია ჩვენ დავეხმაროთ, რომ ბიძინას ული მუშაობის აზრზე არ არის, მაგრამ სასტავი გავუკეთეთ და დაწყებული აქვთ მუშაობა. მაგის ხიბლი ის არის, რომ შევარდნაძის ჩინოვნიკები ვინც იყო, ასევე, „ოცნებაზე“ განაწყენებულები, შეიკრიბონ მაგასთან. ეგ პროცესი დაწყებულია უკვე. ეხლა პროგრამაზე მიდის მუშაობა და ახალი ეტაპი იქნება მაგათი ფონდისთვის. პოლიტიკური ორგანიზაცია გასაკეთებელი ექნებათ.

**მიხეილ სააკაშვილი:** ნუ გაწელავთ, ყველაფერი დროულად არის გასაკეთებელი. სხვა ჯგუფებში რა ხდება?

**ზურაბ ადეიშვილი:** სხვებში რა, ბურჯანაძის პარტია დაშლის პირასაა, შალვა ვერაფერს შეძლებს. მაგას ცოტას თუ მივცემთ და ბიძინაზე ვალაპარაკებთ, ეგ იქნება. თარხან მოურავის პარტია რომ არის, მაგენი ეცდებიან, აკრიფონ, მაგრამ ბიძინასგან ელოდებიან წყალობას და მაგ ორბიტაზე ტრიალებენ, რესპუბლიკელების ჩანაცვლება უნდათ. ახალი სასტავები ჩნდებიან უკვე, ერთმა სახალხო ხელისუფლება დაირქვეს, ხუთ ენაზე გაავრცელეს ახალი წლის მილოცვა, აფხაზურ-ოსურადაც. ეს ჩვენმა სირებმა როგორ ვერ მოიფიქრეს. როგორც დავადგინე, მამალაძის და მოლაშვილის შექმნილია. არ ხმაურობენ, მაგრამ რეგიონებში ოფისებს ხსნიან აქტიურად.

**მიხეილ სააკაშვილი:** თქვე სირებო, თავის დროზე უნდა მოგეშორებინათ ეგ ნაბიჭვრები.

**ზურაბ ადეიშვილი:** გასაგებია! მამალაძის ჩასვლა დაბლოკილი გვაქვს, პროკურატურაში მაგის საკითხები გავჭედეთ, ხიდაშელი არის თან მონდომებული. აპელაციაში შეიტანა და იქ ჩემიამ უარი უთხრა, ახლა უზენაესში აქვთ საქმე შთანთქმის გამოყენებაზე და იქ გიორგის აქვს შავლიაშვილს, ჩემი ახლობელია და ის მიხედავს. კაროჩე, მამალაძეს არ ჩავუშვებთ იქ, მოლაშვილი კი ძლივს დადის, ორი დღე აქვს დარჩენილი, ალბათ!

**მიხეილ სააკაშვილი:** ზურა, სასამართლო და პროკურატურა სულ შენი გამოზრდილები არიან და მიხედე! ქინძი ალასანია რას შვრება? ხო, გარდაბანში კიდე რა ვითარებაა?

**ზურაბ ადეიშვილი:** აუ, გარდაბანი დაიკიდე, რა. არაფრის მაჩვენებელი ეგ არ არის! ირაკლის სასტავიდან ზოგი ბიძინას კოალიციაში შესვლაზე ჩალიჩობს, შიშები აქვთ, რომ შეიძლება ვერ გადალახონ! მაგათ ფინანსებით სჭირდებათ დახმარება. ჩემი აზრია, რომ დავეხმაროთ, რადგან ეგ „ოცნების“ ელექტორატზე იმუშავებს.

**მიხეილ სააკაშვილი:** ყოველთვის ხელით სათრევი როგორ უნდა იყოს ეგ ჩემისა. რა ვიცი, აბა. შენ შეძლებ მაგის დალაგებას და მიხედე.

**ზურაბ ადეიშვილი:** ხოროშო! „ნაცმოძრაობა“ გვაქვს მისახედი სერიოზულად. შიდა დაჯგუფებების თემა უნდა დავამთავროთ. ეხლა ბიუჯეტს ვაკეთებთ. ყველგან არის ოფისები აღსადგენი. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ხელისუფლებაში ვბრუნდებით. მე სპეციალურად გავავრცელებინე ჩემი ხედვები. იმას, რასაც ჩვენზე ამბობენ, რეჟიმი და ასე შემდეგ, ჩვენვე უნდა ვთქვათ. ძალადობრივ მომენტებზეც ვიტყვი, რომ რუსეთი გვიტევდა და სახელმწიფოს გადარჩენის ამოცანა გვქონდა. ამიტომ შეცდომებიც იყო, ზოგიერთის გადაცდომაც იყო, მაგრამ სახელმწიფო შევინარჩუნეთ და გავაძლიერეთ. ამას მივაბამ ყველა ასპექტს, რომ სააკაშვილმა და „ნაცმოძრაობამ“ შექმნა ძლიერი საქართველო, მისი დაცვის საერთაშორისო გარანტიები, ხალხი სოციალურად დაცული იყო, მუშაობდა ყველა და ასე შემდეგ. რომ იცოდე, მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთისკენ იხრება და ეგ თემაც უნდა მივიბათ. მიახლოებით ასე, რომ ჩვენ რუსეთთან ურთიერთობას მხარს ვუჭერთ და არა კაცთმოძულე აგრესორ პუტინს! კაროჩე, ყველა საკითხი, რისი მოსმენაც უნდა ხალხს, ყველაფერი ჩვენ უნდა ვთქვათ და ჩვენს სასტავებს ვათქმევინოთ! მთავარი აქცენტი გვექნება იმაზე, რომ ყველა პროგნოზით არჩევნებს ვიგებთ, ხელისუფლებაში ვბრუნდებით და ყველანაირი დაძაბულობისა და ანგარიშსწორების გარეშე გადმოვიბარებთ სახელმწიფოს მართვას. ბიძინაზეც ვიტყვით, რომ არ იცის ქვეყნის მართვა და ამიტომ გაავსო მთავრობა უვიცებით, თავისი ბიზნესისთვის იყენებენ ქვეყანას, ამიტომაც ხალხი ცხოვრობს ცუდად. ვიტყვით, რომ ბიძინას არ გავდევნით საქართველოდან, დარჩეს, როგორც მეცენატი.

**მიხეილ სააკაშვილი:** ამ პინგვინაზე რამდენს ბაზრობ, პუტინის კაცია, თქვით და დაამთავრეთ. სადაც არ უნდა გაძვრეს, მაგას მაინც არ მოვეშვები!

**ზურაბ ადეიშვილი:** მიშა, ძალიან გთხოვ, რა, შენ არ აგვირიო საქმე. ეხლა პიარის გაწერას ვამთავრებთ ბიჭებთან ერთად, „რუსთავს“ და სხვებსაც თავისი დატვირთვა აქვს და კიდევ გეტყვი რა, ხალხის სათქმელი ჩვენ უნდა ვთქვათ. ხმები გავზარდოთ და მერე რაც გინდა, ის გააკეთე.

**მიხეილ სააკაშვილი:** კაი, კაი! რომ დაამთავრებთ სამოქმედო გეგმის ფორმირებას, დეტალები გავიაროთ. დამფინანსებლების სია ცალკე გააკეთეთ, მე რა უნდა დავდო, ანუ კეზერამ, ბეჟომ, ფიფიამ, გაზის სფეროდან და სხვები. კაროჩე, ეგ დავითასთან ერთად გააკეთეთ!

**ზურაბ ადეიშვილი:** კი, ეგრეც ვაპირებ. ასე რომ, ყველა ჯგუფი რომ გავიყვანოთ, არ გამოვრიცხავ, პარლამენტში უმრავლესობა მოვაგროვოთ და მერე როცა გინდა, დაბრუნდები.

**მიხეილ სააკაშვილი:** შენ შიგ ხომ არ გაქვს, რა მინდა მაგ სირებთან. საქართველო უნდა ვაოცნებო სააკაშვილზე! ამერიკელებთან გეგმა მაქვს, როგორც ვილაპარაკეთ, მაშინ ის რეალურია უკვე. ცოტა ხანი და უკრაინის ურიადს დავითრევთ. მერე კი იცი, რასაც გავაკეთებთ, ჩემო ზურიკო! ბილტდის თემაც ჩვენი შეგდებულია!

**ზურაბ ადეიშვილი:** ძალიან კარგი, მიშა, აბა, 42 მილიონის მართვას როგორ შევადარებ საქართველოს ორ კინკილა დებილს. იაცენიუკ-ავაკოვის გაჟიმვა ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

**მიხეილ სააკაშვილი:** ბიჭო, მაგათ უკრაინელი ხალხი დედას უტირებს, მიქსეული მყავს და მთავრობის დათრევის თემა რომ გაბაზრდა, მთელი ეს ჩალიჩა ოლიგარხები ჩემთან მორბიან, ნელ-ნელა გადმოგაბარებ...

ძაან ჭკვიანი ნუ გეგონება თავი. მე რომ არ ჩავრეულიყავი, დავკარგავდით „რუსთავს“ და წაიღებდა პინგვინა.

**ზურაბ ადეიშვილი:** იცი, რა? ეგ საკითხი საერთაშორისო ზეწოლამ გადაწყვიტა, როგორც გეუბნებოდი. მაკკეინმა და ელჩმა გადაარჩინეს სიტუაცია, თორე ის, რაც სუს-ს ჩენაწერები ჰქონდა ბოკერია და სხვებზე, ჩვენ დროს ყველა ციხეში იჯდებოდა უკვე. მე არ მინდა მაგ ოპერაციებში ჩარევა, კვლევებს მივცემ და დაავლე, იქ გიგა და კეზერას ხალხი მიხედავენ მაგას.

**მიხეილ სააკაშვილი:** რა წუწუნა ხარ, შე ჩემა. შენ არ გეხება ეგ საკითხი. მაგათ აქვთ დავალებული და მთავარია, რუსებს გადავაბრალოთ ყველაფერი, რა.

**ზურაბ ადეიშვილი:** ეგ თემაც, თუ ძალიან გინდათ, ისე უნდა გაკეთდეს, თავისი მსხვერპლით და პიარით, რომ ესე ითქვას, მიშა არჩევნებს იგებს და პუტინს უნდა, რომ ხელი შეუშალოს და საქართველოს აფეთქებსო! იქვე კადრები გავა, დაღუპულების ოჯახები რომ იყვირებენ, – მიშა, მოგვხედე, გვიშველე, დაგვიცავი, უშველე საქართველოს! აი, ეს უნდა იყოს შედეგი!

**მიხეილ სააკაშვილი:** მერე მეც მაგას გეუბნები, რომ მაგ კუთხით დაეხმარე-მეთქი, აბა, შენ ხომ არ შეგაგდებინებ გრანატას ზუგდიდის ბაზარში?

**ზურაბ ადეიშვილი:** ჩერნოვიცკის და ბურჭულაძის თემაა მისახედი, მიშა. ეს უფრო მნიშვნელოვანია. ანალიზი, რომელიც გავაკეთებინე, „ნაცმოძრაობის“ რეიტინგს 14-15 პროცენტს აფიქსირებს. პრინციპში, ეს ჩვენი უცვლელი რეიტინგია და მაგის გარდა, ძნელი იქნება, ადმინისტრაციულ რესურსს ჩვენ არ ვაკონტროლებთ. ამიტომ 65 პროცენტი, რომელიც არც ჩვენ და არც „ოცნებას“ აძლევს ხმას, ეგ ელექტორატი უნდა ავითვისოთ.

**მიხეილ სააკაშვილი:** „ოცნების“ რეიტინგი თუ შეისწავლეთ, მაგათ რა აქვთ ეხლა?

**ზურაბ ადეიშვილი:** მაგათი რეიტინგი რეგრესშია! მიახლოებით ჩვენნაირი აქვთ – 15 პროცენტი. ნუ სახელისუფლებო რესურსით 2-3 პროცენტით გაზრდიან, მეტი არა! უმრავლესობის შანსი მაგათ არ აქვთ. საერთოდ, უმრავლესობას ვერავინ აიღებს. მაჟორიან კელი მიაწვეს და რესპებისთვის მეტი ადგილი დაათმობინოს. ეს არის უკეთესი.

**მიხეილ სააკაშვილი:** ისე, მართალი ხარ, ზურიკო! მაგათ ხმას არავინ მისცემს და ოცნებაში იყვნენ და იქ დავათრევინოთ გამსვლელი ადგილები. ლონიამ მელაპარაკა და იმედი აქვს, რომ ბევრ ხმას აიღებს. მაგას კარგი გამოცდილება აქვს კიევში მიღებული. იანუკოვიჩს ებრძოდა და იულიაც და კიევიც მოიგო. პენსიონრებთან მუშაობა იცის მაგ ჩემისამ, მაგარი აფერისტი ტიპი კია ისე.

**ზურაბ ადეიშვილი:** მიშა, მეც მაგას ვამბობ, ხომ არ გადაგვაგდებს, მერე პარლამენტში თუ მოხვდა?!

**მიხეილ სააკაშვილი:** მაიცა, რა! მაგას მოუტ...ნავ როჟას. მე რომ არ შემენახა, ციხეში იჯდებოდა დღესაც და მილიონები გაუფრინდებოდა. შენ სქემა დადე და მიეცი მაგას, გადაგდებას ვაჩვენებ მაგას, ვერ გაბედავს!

**ზურაბ ადეიშვილი:** ეხლა რაც დაიწყეს, ცუდი არ არის, ის დუმბაძე ჩვენთან არ ასოცირდება და კარგია. მაგასთან ნაციონალებიდან ჯერ არავინ არ უნდა დაფიქსირდეს. „იმედის საქართველო“ არ არის ცუდი. რეგისტრაციის საკითხი აქვთ გასაკეთებელი და ინფრასტრუქტურაში დავეხმარებით. სოციალურ დახმარებაზე, პენსიების გაზრდაზე უნდა გააკეთოს აქცენტი. დახმარების პროექტებს გავუწერთ, ფულები ტყუილად რომ არ ფანტოს. ჩერნოვეცკის მიმართულება სოციალური თემა უნდა იყოს. თან თვითონ მაგან უნდა გამოაცხადოს, რომ არანაირი თანამდებობა არ უნდა, რახანც ის საქართველომ დაიფარა, უყვარს საქართველო და ასეთები, რა. ამომრჩეველთა ყველაზე დიდი რაოდენობა პენსიონრები არიან და მაგი უნდა გავხადოთ, პენსიონრების ლუბიმჩიკი!

**მიხეილ სააკაშვილი:** გეთანხმები, კი! კარგი ვარიანტია. შენ კონცეფცია გაწერე და მაგის კაცს მოგამაგრებ. თან გააკონტროლე მერე, ხო?

**ზურაბ ადეიშვილი:** კარგი! მე, ლარისა რომ არის კიევში, ეგ მეკონტაქტებოდა და...

**მიხეილ სააკაშვილი:** არა, არა, სხვა იქნება საქართველოდან. სხვებზე რას ვშვრებით?

**ზურაბ ადეიშვილი:** ხო, ეხლა პაატას საკითხი დასახვეწია. მაგი პარტი-

## „გირჩი" მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებით პარლამენტს ახალ საკანონმდებლო ინიციატივას სთავაზობს

მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებით პროექტის არსი შემდეგში მდგომარეობს: მიწის ნაკვეთის მფლობელობას მარეგისტრირებელ ორგანოს განცხადებით მფლობელი უდასტურებს. მიწის ნაკვეთზე მფლობელობის საფუძველზე, საკუთრების უფლება არ რეგისტრირდება, თუ წარმოდგენილია დოკუმენტი, რომელიც მფლობელის სასარგებლოდ საკუთრების უფლების რეგისტრაციას გამორიცხავს. რეგისტრაციის პროცედურა საკადასტრო ინფორმაციის შეგროვებით იწყება, რომელსაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით კერძო საამზომველო კომპანიები ასრულებენ. ეს კომპანიები აზომვით ნახაზებს, მის ზუსტ ადგილმდებარეობასა და კონფიგურაციას მიწით მოსარგებლეთა მითითების საფუძველზე ადგენენ, ანუ მოსარგებლე ამზომველს ადგილმდებარეობასა და კონფიგურაციას უთითებს, რომელიც ამას საკადასტრო მონაცემთა ერთიან ბაზაში ასახავს. მარეგისტრირებელი ორგანო შედგენიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოფს ამ წესით შედგენილ მონაცემთა ერთიანი ბაზის, საკადასტრო მონაცემების და განმცხადებლის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებას. საჯარო გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში ყველა დაინტერესებულ პირს ექნება საშუალება, გამოთქვას პრეტენზია ამ ბაზის სისწორესთან და მიწის ნაკვეთის მფლობელობის ფაქტთან დაკავშირებით. პროექტის მიხედვით, თუ საჯაროდ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, მარეგისტრირებელ ორგანოში არ იქნება წარმოდგენილი პრეტენზია მიწის ნაკვეთის მფლობელის მიმართ, მიწის ნაკვეთის მფლობელობის ფაქტი დადასტურებულად ითვლება, რაც მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს. საჯაროდ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში მფლობელობის ფაქტის მიმართ დაინტერესებული პირის მიერ დასაბუთებული პრეტენზიის გაცხადების შემთხვევაში, მარეგისტრირებელი ორგანო, ამ ვადის გასვლისთანავე იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში არ მიიღება, როდესაც მიწის ნაკვეთის მფლობელსა და პრეტენზიის მქონე სუბიექტს შორის ამ ერთთვიან ვადაში მორიგება მოხდება. ამ წესით სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს არ აქვს უფლება, განკარგოს ან უფლებრივად დატვირთოს მიწის ნაკვეთი რეგისტრაციიდან სამი თვის განმავლობაში, რათა დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ პრეტენზიის გაცხადებისა და თავიანთ უფლებათა დაცვის საშუალება, სასამართლოსადმი მიმართვის გზით.

ცნობისთვის, „გირჩმა" განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, მთავრობამ, მოსახლეობისგან ფარულად, კერძო მფლობელობაში არსებული მიწების სახელმწიფოზე გადაფორმება დაიწყო. (ინტერპრესნიუსი)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# ერთსქესიანთა ქორწინების დასაკანონებლად 5 მილიონი დოლარი შემოვიდა



### ვინ ხელმძღვანელობს კულისებიდან პროცესებს და რას აპირებენ ეროვნული ძალები...

ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოთხოვნით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შევიდა. „ლგბტ" პირების უფლებადამცველი გიორგი ტატიშვილი, იგივე „მაცაცო" საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დასაშვებად სამართლებრივ ბრძოლას იწყებს. ის ითხოვს, სასამართლომ ძალადაკარგულად ცნოს სამოქალაქო კოდექსის ის ნორმა, რომლითაც განმარტებულია, რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობაა. „სასარჩელო მოთხოვნაა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმის შედარება მოხდეს კონსტიტუციის იმ ნორმასთან, რომლის მიხედვითაც უნდა დადგინდეს ოჯახის, როგორც დეფინიციის, შემადგენლობაში ქალისა და კაცის, ქალისა და ქალის, კაცისა და კაცის ერთობა, რაც დააზუსტებს კანონთან კონსტიტუციის შესაბამისობას..." ამის საფუძველზე „ლგბტ" ორგანიზაცია მოითხოვს ერთსქესიანთა ქორწინებას, რაც ლეგალიზებული უნდა იქნას სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. სარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნაა სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმის დროებით ძალადაკარგულად ცნობა, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, რომლის მიხედვითაც ქორწინება შეიძლება მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ერთობით.

გახდება თუ არა ეს საკითხი დიდი დაპირისპირების მიზეზი, ამას კითხვის დასმაც არ უნდა, რადგან საზოგადოების უმეტესობა ამ საკითხის გამო უკვე აღშფოთებას ვეღარ მალავს, რადგან ქართული მენტალობიდან გამომდინარე, თავად ამ საკითხზე მსჯელობაც კი მძიმეა, არათუ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება.

ალბათ, გახსოვთ დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობის წევრები რა დღეში იყვნენ გეი-აღლუმის ჩატარების მცდელობის გამო, ქართველი ხალხის გარყვნა უნდათ ამ ნაძირლებსო, მაგრამ პარლამენტში რომ შევიდნენ, ანტიდისკრიმინაციულ კანონს რობოტებივით აუწიეს ხელი.

საქართველოს ჯერ კიდევ არ გამოუღვიძია თავისუფალ და დემოკრატიულ ქვეყანაში და მოდურ ტენდენციებს მივყვებით ისე, რომ შედეგზე არ ვფიქრობთ. თუკი საქართველოში მოხდება „ლგბტ" პირების მოთხოვნის დაკმაყოფილება, სამხრეთ კავკასიაში ჩვენ აღმოვჩნდებით თეთრი ყვავის როლში და ჩვენ დავკარგავთ — იდენტობას, ეროვნულ ღირსებებს, ტრადიციებს, ეს არ იქნება სამაგალითო ჩვენი მეზობელი ქვეყნებისთვის. მოკლედ, ქართველებზეა ნათქვამი, სად გვეფხანება, თვითონაც არ ვიცით... ხელისუფლებიდან ერთადერთია დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე, რომელიც ღიად უპირისპირდება ყველაფერს, რაც ჩვენს იდენტობასა და ეროვნულობას უქმნის საფრთხეს.

„ალიას" კითხვებს **სანდრო ბრეგაძე** პასუხობს:

**— ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შევიდა, არჩილ გამზარდია, რომელიც, სავარაუდოდ, „ქართული ოცნების" სიაში აღმოჩნდება, აცხადებს, რომ არ არის წინააღმდეგი, „ლგბტ" წარმომადგენლებს ქორწინების უფლება ჰქონდეთ. რა ხდება ხელისუფლებაში ამ საკითხთან დაკავშირებით?**

– მოძრაობა „ეროვნულებმა", რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც მე გახლავართ, დაიწყო საკონსტიტუციო შეცდომების შესწორება. ადვოკატი ლაშა გოლუბიანი ამზადებს ამ საკონსტიტუციო შესწორებას, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციაში ჩაიწერება, რომ ოჯახი – ეს არის მამაკაცისა და ქალის ერთობა, რაც თავისთავად გამორიცხავს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას და შემდგომ მსჯელობას ამ მეტად პროვოკაციულ თემაზე. თავის დროზე ეს გახლდათ ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა. სამწუხაროდ, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერობიდან გადადგა და ვერ მიეცა ამის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა, ჩვენ მიერ მომზადებული იურიდიული დოკუმენტი მაქსიმუმ მომავალი კვირის ოთხშაბათს ან ხუთშაბათს შევა საქართველოს პარლამენტში, ძალიან დიდი იმედი მაქვს, მისი განხილვა მოხდება დაჩქარებული წესით. ამავე დროს, მინდა პირდაპირ განვაცხადო ერთი რამ, ეს შესწორება იქცევა ერთგვარ ლუსტრაციად ყველა პოლიტიკოსისა და პოლიტიკური ჯგუფის, რომლებიც აფიქსირებენ, ან ხშირ შემთხვევაში მხარს უჭერენ ქართველოფობიურ განცხადებებს. მე მივმართე სახალხო დამცველს უჩა ნანუაშვილს რამდენჯერმე, კერძოდ, ჩემთვის გასაგებია, რომ უნდა დაისაჯონ ქსენოფობები, არმენოფობები, მაგრამ ამავე დროს ასეთივე დასჯადი უნდა იყოს ქართველოფობია, პირდაპირ შემიძლია განგიცხადოთ, რომ ქართველოფობია – ეს არის სრულიად ახლად შექმნილი ტერმინი, რომელიც ყოველგვარი ქართულის მიმართ შიშსა და ზიზღს გულისხმობს. ქართველოფობიის ერთგვარი შემოქმედები არიან გიგა ბოკერია, გია ნოდია, ლევან რამიშვილი, გოგი გვახარია, მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი და ა.შ.

**— რა თანხები იხარჯება ამ კამპანიისთვის და თუ გაქვთ ინფორმაცია, ბოლოს რა თანხა შემოვიდა?**

– მილიონობით დოლარი შემოვიდა და ხშირ შემთხვევაში ეს არ არის გრანტები, ეს გახლავთ შავი ფული. 2015 წლის ზაფხულში შემოვიდა 5 მილიონ დოლარამდე, ეს თანხები უნდა მოხმარდეს ანტიქართულ აქციებს, მათ შორის, „ელგებეტე" პროპაგანდას, აპირებენ ადამიანების მოსყიდვას, რომლებიც წარმოადგენენ ძირითადად საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებს, რათა ის პოზიციები დააფიქსირონ, რასაც აფიქსირებენ ქართველოფობები. ეს პიროვნება გიორგი, იგივე „მაცაცო" ტატიშვილი არაფერს წარმოადგენს, ის ამ საქმეში გახლავთ პაიკი, რეალურად ამ ყველაფრის უკან დგანან ის შავი ძალები, რომელზეც გესაუბრეთ, არავინ ერევა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში, მაგრამ მოსამართლეთა უმრავლესობა გახლავთ გიგა ბოკერიას პირადი მეგობარი, თავიანთ მოსაზრებებში ისინი არიან იდენტურები. საკონსტიტუციო სასამართლომ რომ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, როგორიც ამათ – ქართველოფობებს უნდათ, ამაში გასაკვირი არაფერი იქნება. ამიტომაც არის აუცილებელი, რომ ქართველ ხალხს ვაჩვენოთ, ვის შესტკივა საქართველოს პარლამენტში ჩვენს ქვეყანაზე გული და მოვახდინოთ ლუსტრირება. ჩვენ გვაინტერესებს, ვინ არის თანახმა, მოხდეს საკონსტიტუციო ცვლილება და ჩაიწეროს, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა.

პირად საუბრებში საკმაოდ ბევრი ჩემი კოლეგა აფიქსირებს იგივე პოზიციას, რაც მე მაქვს, მაგრამ ერთია პირადი საუბრები, მეორეა ქმედება. ის ადამიანები, რომლებიც ჩემსიგრძე სანთლებით დადიან ეკლესიაში და პირჯვარს იწერენ, რომლებიც საკმაოდ გავლენიანი პოლიტიკოსები არიან, დროა, გამოვიდნენ სირაქლემას პოზიდან და რეალური ქმედებები განახორციელონ ჩვენი ეროვნული იდენტობისა და ჩვენი სარწმუნოების დასაცავად.

**— თუკი პარლამენტმა თქვენი ინიციატივა არ გაითვალისწინა და საკონსტიტუციო შესწორება არ შევიდა, დატოვებთ ხელისუფლებას და გადახვალთ ოპოზიციაში?**

– ჯერჯერობით არ განვიხილავ იმის შესაძლებლობას, რომ ვინმეს გავემიჯნო, მაგრამ, თუ ქართველოფობიური ტენდენციები იმძლავრებს, ჩემი ადგილი არათუ პარტიასა და მთავრობაში, არამედ ოჯახშიც კი არ იქნება, თუკი მათში ქართველოფობიას დავინახავ. ჩემთვის ცნობილია ფრაქცია „ქართული ოცნების" პოზიცია, ისინი თავის დროზე მიესალმნენ ღარიბაშვილის ინიციატივას და არ მგონია, ერთ თვეში პოზიცია შეეცვალათ. პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა, ვისაც ეგონა, ერთსქესიანთა ქორწინება არ დაკანონდებაო, თემა დაიძრა და რა თქმა უნდა, ამას მოჰყვება პროვოკაციული პროცესები. ეს ადამიანები ფულისთვის ყველაფერზე მიდიან.

**— უმრავლესობის ის წევრები, არჩევნებამდე რომ პატრიოტობდნენ და მკერდზე მუშტებს იბრახუნებდნენ, შევიდნენ პარლამენტში და ანტიდისკრიმინაციულ კანონს მხარი დაუჭირეს. რატომ გამორიცხავთ, რომ იგივე პარლამენტმა ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონოს?**

– წყეული იყოს ყველა, ვინც ერთსქესიანთა ქორწინებას ხელს შეუწყობს, ჩემს რწმენას, ჩემი მასწავლებლის, ზვიად გამსახურდიას ნათელ ხსოვნას ვფიცავარ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ, რომ საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება არ დაკანონდეს. იმაზე არავინ დაობს, რომ „ლგბტ" პირებს უნდა მიეცეთ ნორმალური ცხოვრების საშუალება, მაგრამ მეორე საკითხია, როცა ისინი შეტევაზე გადმოდიან, გვკარნახობენ, როგორი უნდა იყოს ოჯახი, გადავიდნენ ყველანაირ ზღვარს, ვალდებული ვართ, რომ შევაჩეროთ. წყალგამყოფი საზღვრების გადმოლახვის უფლება მათ არ უნდა მივცეთ.

> **„პირად საუბრებში საკმაოდ ბევრი ჩემი კოლეგა აფიქსირებს იგივე პოზიციას, რაც მე მაქვს, მაგრამ ერთია პირადი საუბრები, მეორეა ქმედება. ის ადამიანები, რომლებიც ჩემსიგრძე სანთლებით დადიან ეკლესიაში და პირჯვარს იწერენ, რომლებიც საკმაოდ გავლენიანი პოლიტიკოსები არიან, დროა, გამოვიდნენ სირაქლემას პოზიდან და რეალური ქმედებები განახორციელონ ჩვენი ეროვნული იდენტობისა და ჩვენი სარწმუნოების დასაცავად"**

## ნიუ-იორკის სავაჭრო ბირჟამ ოქროს მარაგის 73 პროცენტი დაკარგა



მსოფლიოში ძვირფასი მეტალის უდიდესმა სავაჭრო ბირჟა – **New York COMEX**-მა, კიდევ ერთხელ დააფიქსირა საწყობებზე ოქროს მარაგის კლება.

მსგავსი რაოდენობის მარაგის მოულოდნელად გამოყენების შედეგად, ოქროს მარაგი 73 პროცენტით შემცირდა და დღეს 74 ათას ტროულ უნციას აღწევს.

წინა წლის მონაცემებთან შედარებით, ოქროს მარაგი 14-ჯერ შემცირდა მაშინ, როცა ბირჟაზე არსებული კონტრაქტების მიხედვით, არსებული მოთხოვნა 40 მილიონ ტროულ უნციას აღწევს.

2016 წლის იანვრის ბოლოს კი ნავაჭრი ფიუჩერსების 99,81 პროცენტი ფიზიკური მეტალით არ არის უზრუნველყოფილი, – ძირითადი აქტივების დაუყოვნებლივ მიწოდებით დადებული 542 შეთანხმებიდან მხოლოდ ერთის შესრულებაა შესაძლებელი.

2000-2013 წლებში, **Comex**-ის ბაზრის ფიუჩერსის რეალური ოქროთი დაფარვის შეფარდება 1/25-ს შეადგენდა.

დარეგისტრირებული ოქროს მარაგის სწრაფი კლება, 2013 წლის შემოდგომიდან დაიწყო. 2014 წლის დასაწყისში, ფიუჩერსების დაფარვის შეფარდება 100-მდე გაიზარდა, შემოდგომაზე კი ეს მაჩვენებელი გასამმაგდა. (ipress.ge)

## „გაოცებული ვარ განცხადებით" — ხიდაშელს ჰააგის სასამართლოს ფორმულირებები არ მოსწონს

თავდაცვის მინისტრი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოძიების დაწყების გადაწყვეტილებას ეხმაურება. თინათინ ხიდაშელს ის ფორმულირებები არ მოსწონს, რაც სასამართლოს განცხადებაშია მოყვანილი და იმედს გამოთქვამს, რომ გამოძიების მიმდინარეობის პროცესში ტონალობაც და სუბიექტებიც შეიცვლებიან და სიმართლე ჰააგაში თავის გზას იპოვის:

– გაოცებული ვარ იმ განცხადებით, რომელიც გამოქვეყნდა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს არის ძალიან სუპერწინასწარი განწყობაც კი არა, წინასწარი მოკვლევის შედეგებზე დაფუძნებული. ტონალობაც, განწყობაც, მხარეებიც, სუბიექტებიც უკვე გამოძიების დროს შეიცვლებიან და სიმართლე იპოვის თავის გზას ჰააგაში.

განცხადებაში ჩვენ ვნახეთ, რომ საუბარია ორივე მხარის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, ოღონდ ორივე მხარეში იგულისხმებიან ქართული და სამხრეთოსეთული შეიარაღებული ფორმირებები, – განაცხადა თინა ხიდაშელმა. (ნიუპოსტი)

## ამირან გამყრელიძის რეკომენდაციები ორსულებისთვის



– გრიპის ვირუსისთვის ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს ორსული ქალბატონები წარმოადგენენ, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა.

გამყრელიძემ ორსულ ქალბატონებს რეკომენდაციებით მიმართა და აღნიშნა, რომ ისინი განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ, უნდა გაითვალისწინონ რეკომენდაციები, მოერიდონ ხალხმრავალ ადგილებს, ან იმ ადგილებს, სადაც ვირუსიანი ადამიანია და ვირუსის სიმპტომების გამოჩენის პირველივე შემთხვევისთანავე უნდა მიმართონ ექიმს.

გამყრელიძის ინფორმაციით, ამ დროისთვის მკურნალობას რამდენიმე ორსული ქალბატონი გადის, თუმცა შემთხვევები გართულებული არ არის.

გამყრელიძემ გრიპის ვირუსის პროგნოზებზეც ისაუბრა.

– ზუსტი პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია, მომავალი კვირების განმავლობაში შესაძლებელია, იყოს გარკვეული ზრდა, მაგრამ არა რადიკალური. ვირუსით ამჟამად ჰოსპიტალიზებული პაციენტები გვყავს, ძირითადად მოზრდილები და ხანდაზმულები, ბავშვები – ნაკლებად, – განაცხადა გამყრელიძემ და დასძინა, რომ ვირუსული გრიპის სეზონი დაახლოებით დეკემბრის ბოლოდან თებერვლის ჩათვლით, ან მარტის დასაწყისამდე გრძელდება. (ინტერპრესნიუსი)

## შვედეთის მთავრობა 80 000 თავშესაფრის მაძიებლის დეპორტაციას გეგმავს

შვედეთის მთავრობა 80 000 თავშესაფრის მაძიებლის დეპორტაციას გეგმავს. ამის შესახებ ინფორმაციას „ბიბისი“ შვედეთის შინაგან საქმეთა მინისტრზე დაყრდნობით ავრცელებს.

როგორც ანდერს იგემანი აცხადებს, მიგრანტების დეპორტაცია ჩარტერული ავიარეისებით განხორციელდება, თუმცა ამას რამდენიმე წელი დასჭირდება. მისივე თქმით, იგეგმება იმ მიგრანტების დეპორტაცია, რომლებსაც ლტოლვილის სტატუსის მოპოვება სურდათ და ვერ მიიღეს.

2015 წლის განმავლობაში თავშესაფრის თხოვნით შვედეთს 163 000-მა მიგრანტმა მიმართა. 58 800 განაცხადი უკვე განხილულია, მათგან 55 პროცენტი დაკმაყოფილდა.

მიგრანტების რაოდენობის მხრივ შვედეთი ევროპაში ერთ-ერთი ლიდერია. თავშესაფრის მაძიებლების ნაკადი შვედეთში მას შემდეგ შემცირდა, რაც წლის დასაწყისში შვედეთმა სასაზღვრო კონტროლი დააწესა. (ინტერპრესნიუსი)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# რა ხდებოდა რეალურად გარდაბანში არჩევნებზე?



გარდაბნის გამგებლის არჩევნებს, რომელშიც „ოცნებიდან“ გოჩა ჯამარაული, ხოლო „ნაცმოძრაობიდან“ ბესიკ კახაბრიშვილი მონაწილეობდნენ, ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია. №2 საარჩევნო უბანზე სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. იქ იმყოფებოდნენ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები სერგო რატიანი, კობა ხაბაზი და გიგა ბოკერია. თვითმხილველები აცხადებენ, რომ ერთ-ერთ პირს, რომელიც დაპირისპირებაში მონაწილეობდა, ჰქონდა იარაღი და იგი პოლიციამ გარდაბნის საარჩევნო უბნის ტერიტორიიდან გაიყვანა.

№62 საარჩევნო უბანზე კი შიში მონაწილეობდა პირი, რომელიც თან იარაღს ატარებდა, თუმცა, ის სამოქალაქო ფორმაში იყო და ვინაობის გამხელა არ ისურვა. ადგილზე იმყოფებოდნენ სამართალდამცველები, თუმცა მათ შექმნილი მდგომარეობის გასანეიტრალებლად არაფერი გაუკეთებიათ. ყველა ამ უბანზე პარტიამ კარგი შედეგი აჩვენა. „ქართული ოცნების“ მხრიდან მსგავსი პროვოკაცია მიუთითებს იმაზე, რომ ცდილობენ საარჩევნო პროცესების შეფერხებას“.

უფრო მოგვიანებით, უკვე „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა: რომ გარდაბნის №2 საარჩევნო უბანთან ინციდენტის პროვოცირება „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლებმა განახორციელეს: „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლებმა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერს შეგნებულად დაუზიანეს ავტომანქანა, რასაც სიტყვიერი და ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოჰყვა. სუს-ის სახელი ტრიალებს მთელი დღის განმავლობაში. არც ერთხელ არ დადასტურდა არც ერთი ფაქტი სუს-ის რაიმე ფორმით ჩართულობისა საარჩევნო პროცესში. ძალიან დიდი უპირატესობით იგებს „ქართული ოცნება“ არჩევნებს. ჩვენი ოპონენტები კი მთელი დღის განმავლობაში ატრიალებენ შეგნებულად სუს-ის სახელს, თუმცა, სუს-ი არსად ფიგურირებს. ეს არის თითიდან გამოწოვილი პროვოკაცია“.

რომელს დაგიჯეროთ ახლა? პირადად მე, არც ერთს გენდობით და არც მეორეს, მაგრამ ეჭვი მაქვს, „ნაცების“ ბრალი რომ ყოფილიყო ეგ შეხლა-შემოხლები, პოლიცია „ალბათ, „ნარუჩნიკებს“ დაადებდა.

უფრო დეტალური ინფორმაციისთვის, თუ რა ხდებოდა გარდაბანში, გვინდოდა „ოცნების“ და „ნაციონალების“ წარმომადგენლებს გავსაუბრებოდით, რომლებიც ადგილზე იმყოფებოდნენ. სერგო რატიანმა გვითხრა, ცოტა ხანში დაგელაპარაკებითო, მაგრამ აღარ გვიპასუხა.

**„ალიას“ „ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტარი დავით ლორთქიფანიძე ესაუბრა:**

– მე ვიყავი გარდაბნის №62 საარჩევნო უბანში, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი „დამრტყმელი ძალები“ პირობებში ხომ შეიძლება, ადამიანმა პირბადე გაიკეთოს? ასეთი სულ სამი ადამიანი იყო, შაშკინი კიდევ იძახდა, 40 კაციაო, ამ ნიღბიანებმა უბანს ალყა შემოარტყეს და საშიშროება გვემუქრებაო. თავი დაანებეთ ამ სისულელეების ლაპარაკს-მეთქი, ვუთხარი, თავად გამოვედი გარეთ, შევხვდი იმ ადამიანებს, აზერბაიჯანულ მოსახლეობასაც. სიმართლე გითხრათ, „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეებთანაც მქონდა საუბარი და არანაირი აგრესია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთან მიმართებაში არ მიგრძვნია მათგან. პირიქით, მთხოვეს, იქნებ ყველაფერი მშვიდად ჩატარდესო. მე ვუთხარი, – ჩვენგან რაიმე პროვოკაცია გამორიცხულია, თქვენც ჭკვიანად მოიქეცით, ბიჭებო, და არაფერი საშიშროება არ იქნება-მეთქი, თორემ თუ თქვენ დააპირებთ რაღაც ექსცესების მოწყობას, ამ შემთხვევაში მე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ ჩემს თავზე, მე ვარ დამკვირვებელი, შენობაში ვიმყოფები და გარეთ რა ხდება, ამის გაკონტროლება არ შემიძლია-მეთქი. ფაქტობრივად, ამის შემდეგ ყველაფერი ჩაცხრა.

**— შეგიძლიათ, გვითხრათ, ხმის მიცემის პირველადი შედეგები როგორია?**

– პირველი შედეგები საოლქო საარჩევნო კომისიამ ჩვენი უბნისგან მიიღო. „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გოჩა ჯამარაულმა მიიღო ხმების 73.5 პროცენტი, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა, ბატონმა კახაბრიშვილმა კი მიიღო ხმების 24 პროცენტი, ყოველგვარი პრეტენზიისა და ექსცესების გარეშე წავიდნენ. სხვა უბნებში რა მოხდა, ეს არ ვიცი და თუკი ვინმემ რაღაც კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა, რა თქმა უნდა, მან პასუხი უნდა აგოს.

**— თქვენს საარჩევნო უბანზე „ნაციონალური მოძრაობიდან“, დიმიტრი შაშკინის გარდა, კიდევ ვინ იყო?**

– ეტყობა, შაშკინი მათთვის რაღაც დიდი დონის ფიგურაა და ამიტომ ჩათვალეს, მხოლოდ მისი აქ ყოფნა საკმარისი იყო. „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა ცნობილი წევრები მე აქ არ დამინახავს. გარეთ შეიძლება სხვებიც მოვიდნენ, გაიარ-გამოიარეს, ეს უბანი ქალაქის ნომერ პირველ საბავშვო ბაღშია და ბუნებრივია, ისინიც აწარმოებდნენ, ალბათ, დაკვირვებას და აქეთ-იქით დადიოდნენ, მაგრამ აქ, უბანში, არავინ არ შემოსულა.

დიმიტრი შაშკინი და ირაკლი სესიაშვილი ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. შაშკინის თქმით, უბნის მიმდებარედ იმყოფებოდნენ პირბადიანი ადამიანები, რომლებიც ამომრჩევლებზე ზეგავლენას ცდილობდნენ: „მოსახლეობას აწუხებს 30-40-ნიღბიანი ადამიანი. გამოვუძახეთ პატრულს და ამ ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია. ეს არის იგივე ხალხი, რომელიც დაუპირისპირდა გიგა ბოკერიას და რომლებიც №5 უბანზე ამომრჩევლებს შეურაცხყოფდნენ“, – აცხადებდა შაშკინი.

თავის მხრივ, ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა: „ნაციონალური მოძრაობა“ არის გაკოტრებული ძალა, რომელსაც წაგებული აქვს ძალიან სერიოზულად. ისინი გარდაბანში არჩევნებში მონაწილეობისთვის არ ჩამოსულან, ჩამოვიდნენ პროვოკაციების მოსაწყობად. რეალურად კი – აბსოლუტური სიმშვიდეაო. შე კაი კაცო, რა მნიშვნელობა აქვს, გაკოტრებულია თუ არა „ნაცმოძრაბა“, ტელევიზიით ყველამ ნახა გაწევ-გამოწევა და ეს ვისი მოწყობილია, კიდევ საკითხავია.

უკვე საღამოსკენ „ნაცმოძრაობის“ პრესსამსახურმა განცხადება გაავრცელა: „გარდაბნის №2 საარჩევნო უბანზე „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს ის ჯგუფი დაუპირისპირდა, რომელიც მთელი დღის განმავლობაში საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე პროვოკაციების მოწყობას ცდილობდა. შელაპარაკების დროს ადგილი ჰქონდა ფიზიკურ შეურაცხყოფას და ქვების სროლას. შელაპარაკებაში იყო მობილიზებული დიმიტრი შაშკინის ხელმძღვანელობით და სადაც ასევე რამინ ბაირამოვიც იმყოფებოდა, რომელიც მათი აქაური ლიდერია, ყოფილი პარლამენტარი. ამომრჩეველზე გავლენის მოხდენას ცდილობდნენ, ახდენდნენ აზერბაიჯანული მოსახლეობის მობილიზებას და უნდოდათ, საზოგადოებაში შეექმნათ განწყობა, თითქოს „ქართული ოცნება“ ცდილობდა არჩევნების რაღაც ძალადობრივი გზით მოგებას. ვფიქრობ, ყველა წინაპირობა იყო იმისა, რომ ისინი მიდიოდნენ არჩევნების ჩაშლისკენ. შაშკინი მოვიდა ჩემთან და მითხრა, – გარეთ საეჭვო პიროვნებები არიან, მათ შორის, ნიღბიანებიო... ამ გაგანია გრიპის



## ჰააგის სასამართლოს მიერ აგვისტოს ომზე გამოძიების დაწყება მსოფლიო მედიის მთავარ თემად იქცა



ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2008 წლის აგვისტოს ომზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით, მსოფლიო მედიაში დღის პოპულარულ თემას წარმოადგენს.

როგორც **BBC** წერს, აღნიშნულ გადაწყვეტილებას საქართველო მიესალმება, ხელისუფლებაში კი აცხადებენ, რომ ეს ქვეყნის ინტერესებში შედის.

**CNN** აღნიშნავს, რომ 7 წლის განმავლობაში ეს გამოძიების პირველი შემთხვევაა.

**International Business Times**-ი წერს, რომ გამოძიება დაადგენს, ჰქონდა თუ არა ადგილი „სამხრეთ ოსეთში“ მოსახლეობის გენოციდს. (ნიუპოსტი)

## ხალხი ღარიბდება, ბანკები მდიდრდებიან!



საქართველოს საბანკო სექტორმა გასული თვე მოგებით დაამთავრა. დეკემბრის თვის წმინდა მოგებამ 84,5 მილიონი ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2015 წლის დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 0,5 მილიარდი ლარით, ანუ 2,2 პროცენტით გაიზარდა და 25,2 მილიარდი ლარი შეადგინა. თუმცა ოპერაციების შედეგად ეს მაჩვენებელი 2,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო კურსის ცვლილებამ მისი 0,26 პროცენტით შემცირება გამოიწვია.

საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 3,5 მილიარდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 14,0 პროცენტია.

უცხოური კაპიტალის მონაწილეობამ ბანკების მთლიან განაღდებულ საწესდებო კაპიტალში 80,2 პროცენტი შეადგინა.

ხუთი უმსხვილესი აქტივების მქონე ბანკის წილმა საბანკო სექტორის მთლიან აქტივებში 77,7 პროცენტი შეადგინა.

საქართველოს საბანკო სექტორი 2016 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, 19 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი, მათ შორის 17 – საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით და 1 – უცხოური ბანკის ფილიალით. (bpn.ge)

SALE

საქართველოს რკინიგზა
GEORGIAN RAILWAY

# 10 თვე დიდი ფასდაკლება!



- ფასდაკლება ვრცელდება ყველა მატარებელზე
- ფასდაკლება არის 10 თვიანი და ძალაშია 16 სექტემბრიდან 9 ივლისის ჩათვლით.
- ფასდაკლების დასრულების შემდგომ, ბილეთების სტანდარტული ფასი მხოლოდ 2 თვით ამოქმედდება.

## თბილისი - ბათუმი - თბილისი:

I კლასის ბილეთის ფასი 40 ლარის ნაცვლად 25 ლარი

II კლასის ბილეთის ფასი 23 ლარის ნაცვლად 18 ლარი

*გისურვებთ ბედნიერ მგზავრობას!*

სხვა მიმართულებებზე ფასდაკლების თაობაზე დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 1331

www.railway.ge

## „ფრიდომ ჰაუსის“ შეფასებით, საქართველო კვლავ ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნების კატეგორიაში რჩება

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ შეფასებით, საქართველო კვლავ ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნების კატეგორიაში რჩება. ამ თემასთან დაკავშირებით, „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქცია ორგანიზაციის კვლევების პრეზიდენტ არჩ პადინგტონს ესაუბრა.

როგორც არჩ პადინგტონმა განაცხადა, საქართველო, როგორც ამჟამინდელი, ასევე წინა მთავრობის პირობებში მეტწილად დადებითად ვითარდებოდა. მისივე თქმით, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ორგანიზაციის ყურადღება პოლიტიკური ოპონენტების გასამართლებისა და „რუსთავი 2“-ის საქმემ მიიქცია.

– „რუსთავი 2“-ის საქმე ძალიან შემაშფოთებელია. რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანაში პრესის თავისუფლება სადავო დემოკრატიული ინსტიტუტია. როცა ხელისუფლებაში ახალი ლიდერები მოდიან, პირველი, რის გაკეთებასაც ცდილობენ, ინფორმაციის წყაროებზე კონტროლის მოპოვებაა, ამ ქვეყნების უმეტესობაში ეს ტელევიზიაა.

ჩვენ შეშფოთებული ვიყავით იმ ფაქტით, რომ იყო შესაძლებლობა, ტელევიზია სასამართლოს გადაწყვეტილებით მთავრობისადმი კრიტიკული მფლობელებიდან მთავრობასთან დაახლოებული პირისთვის გადაეცათ. ჩვენ აქტიურად ვაკვირდებით ამ საქმეს, – აღნიშნა არჩ პადინგტონმა.

„ამერიკის ხმის“ ქართული რედაქცია აღნიშნავს, რომ ორგანიზაციის ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა რუსეთს, რომელიც ვლადიმირ პუტინის მეთაურობით აგრესიულად ებრძვის ლიბერალურ ღირებულებებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, სამეზობლოში.

– პრესის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სასამართლო სისტემის პოლიტიკური კონტროლი 21-ე საუკუნის დიქტატორების მეთოდია. პუტინის, როგორც რუსეთის პრეზიდენტის, ნომერ პირველი პრიორიტეტი მედიაზე კონტროლის მოპოვება იყო, – ნათქვამია ანგარიშში. ანგარიშის მიხედვით, რუსეთი და ჩინეთი ის ორი ქვეყანაა, რომლებიც ცენზურასა და პროპაგანდას აქტიურად იყენებენ. საქართველოში პროპაგანდის გავრცელებას რუსეთი, პადინგტონის თქმით, ახალბედა ორგანიზაციებისა და ეკლესიის მეშვეობით ცდილობს.

– საქართველოში რუსეთის პროპაგანდის მხრივ ორი რამ გვაღელვებს. ერთი, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების მომრავლებაა, რომლებიც ახლო წარსულში რუსეთის ინტერესების წინ წასაწევად დაარსდნენ. ვერ ვიტყვი, რომ ისინი გავლენიანები არიან, არ მინდა გადავაჭარბო და ვთქვა, რომ მათ ქართველების შეხედულებებზე გავლენა აქვთ. ცხადია, ეს რუსეთის სტრატეგიაა საქართველოში დამოუკიდებელი პოლიტიკა შეასუსტოს და ქართველების მსოფლმხედველობა შეცვალოს, რომ მათ ევროკავშირში გაწევრიანებას ევრაზიული კავშირი არჩიონ. ეს არის მიზანი და ეს ორგანიზაციები ამ მიზანს ემსახურებიან. თავისი გავლენის გასაზრდელად რუსეთმა გაამყარა კავშირები რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის“, – აცხადებს პადინგტონი. (ინტერპრესნიუსი)

## „ვინც ასე უცენზუროდ ილანძღება, გაუნათლებელია“ — რას პასუხობს „აბესალომ და ეთერის“ მხატვარი დეკორაციების კრიტიკოსებს

ოპერის განახლებული თეატრისა და „აბესალომ და ეთერის“ ახალი დადგმის გარშემო ბოლო დროს აჟიოტაჟი არ წყდება. სოციალური ქსელის საშუალებით უშინ ახალი სკანდალი აგორდა – მიზეზი დადგმის ერთ-ერთი დეკორაციაა, რომელმაც მნახველში ორაზროვანი ასოციაციები გამოიწვია.

იმის გასარკვევად, რას ფიქრობს თავად დადგმის მხატვარი დეკორაციებზე, თეატრალურ დეკორატორ **გოგი ალექსი-მესხიშვილს** დავუკავშირდით. ის თითქმის ერთი წელიწადია ამ დადგმის მხატვრულ გაფორმებაზე მუშაობს:

**— ბატონო გოგი, საპრემიერო სპექტაკლის წინ დიდი ხმაურია ატეხილი, ამის მიზეზი დეკორაციის ის დეტალია, რომელიც სცენის ცენტრშია განთავსებული. მასზე ორაზროვანი შეფასებები გაჩნდა სოციალურ ქსელში.**



– საერთოდ, ოპერის თეატრის გახსნა რატომღაც დიდი ხანია, ყბადაღებულ თემად იქცა. ახლა სპექტაკლს მოდგნენ. შურიანია საზოგადოება და ეს ყველაფერი ამის ბრალია. სანამ პრემიერა არ შედგება, არავის აქვს უფლება, იმსჯელოს დადგმის რომელიმე დეტალზე, შემსრულებელზე, ან საერთოდ, რამეზე. ჯერ კიდევ მილიონი რაღაც არის, რომელიც გასაკეთებელ-დასასრულებელია. კოსტიუმებში, დეკორაციაში, რეკვიზიტში თავადაც უამრავი შენიშვნა გვაქვს. პრემიერაზე როცა მოვლენ, მაშინ დაიწყონ შენიშვნები და ლანძღვა. მათი ასეთი აღვირახსნილი გინება და მოქმედება გასაოცარია. ხალხი, ვინც ილანძღება, საკუთარ თავს ირცხვენს. ჩვენ კარგად ვიცით, რა არის გასასწორებელი და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ სპექტაკლი მაღალ დონეზე წარმოვადგინოთ. ილაპარაკონ კოსტიუმებზე, ზოგადად დეკორაციაზე, მხოლოდ ერთ დეტალს რომ ჩააფრინდნენ, ეს სამარცხვინოა და ვინც ასე უცენზუროდ ილანძღება, მიმაჩნია, რომ გაუნათლებელია. დიახ, ასე პირდაპირ ვიტყვი, პირდაპირი კაცი ვარ და ამიტომ!

არ შეიძლება ასეთი აღვირახსნილობა, რაც, სამწუხაროდ, გარკვეული ჯგუფების მიერ უკვე დიდი ხანია გრძელდება. ისინი მზად არიან, შემოცვივდნენ და ოპერის თეატრი ხელში ჩაიგდონ. არადა, ამაში ჩაიდო ერთი წლის დაუღალავი შრომა, საშინელ პირობებში გაკეთდა ყველაფერი იმიტომ, რომ ოპერას დაუნგრიეს სახელოსნოები, ხელოსნები გაყარეს და ავჭალიდან დაწყებული, დიდუბით დამთავრებული, მთელ ქალაქში სირბილი მოგვიხდა... ვიმეორებ, თუ ასეთი გულშემატკივრები არიან და ასე აინტერესებთ რამე, მაშინ იმით დაინტერესდნენ, რა პირობებში ვმუშაობდით და არა იმით, რაღაც ქვა დევს სცენაზე თუ არ დევს და როგორია. პატივს არ ვცემ მათ, ვისაც თავის ქვეყანაში რაღაც-რაღაცები ასე ძალიან ახარებს. მობრძანდნენ პრემიერაზე და მერე წერონ თავიანთი კომენტარები.

**— ქვას, რომელიც ახსენეთ, ფალოსს ადარებენ...**

– წერონ. საქართველოში „ფეისბუკი“ ხომ აკლებულია ადამიანების ლანძღვა-გინებით. ჩვენ ვაკეთებთ ჩვენს საქმეს, ვიმეორებ, მოვიდნენ პრემიერაზე და შეგვაფასონ. მართლა ამორალური საქციელია და არაპროფესიონალიზმი პრემიერამდე დეკორაციის დეტალზე ასეთი ამბის ატეხა.

30 იანვარს ოპერის თეატრი განახლებული სახით გაიხსნება. სცენაზე 6-წლიანი პაუზის შემდეგ, პირველი საოპერო დადგმა შესრულდება. „აბესალომ და ეთერის“ დადგმის რეჟისორია გიზო ჟორდანია, მხატვარი – გოგი ალექსი-მესხიშვილი. წამყვან პარტიებს მსოფლიოში აღიარებული ქართველი მომღერლები: თამარ ივერი, ლადო ათანელი და თემურ გუგუშვილი ასრულებენ. (ambebi.ge)

„აბესალომ და ეთერის“ დეკორაციის ფოტომ ინტერნეტში მართლაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია – ფოტო ერთ-ერთმა პირველმა „ფეისბუკის“ გვერდზე „გაგიკვირდებათ და“ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ზაზა ბიბილაშვილმა გაავრცელა, რომელიც წერდა:

„მეგობრებო, ეს არის ცენტრალური დეკორაცია აბესალომ და ეთერის ახალი დადგმიდან, რომლითაც იხსნება თბილისის ოპერის თეატრი 6-წლიანი პაუზის შემდეგ. ალბათ, ამ დეკორაციის შემქმნელებს უნდოდათ, ივანიშვილისთვის ეამებინათ. ან შეიძლება არც უნდოდათ, მაგრამ სპონსორზე ფიქრისას, ძალაუნებურად ეს შემოეძერწათ. ან იქნებ პირდაპირი მოთხოვნა იყო კულტურის სამინისტროს ან ფონდი „ქართუს“ მხრიდან, სპექტაკლში ოპერის მთავარი ქომაგი ჩააქსოვეთო?

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, ეს რომ წინა ხელისუფლების დროს მომხდარიყო – რა ისტერიკაში ჩავარდებოდა ქართულენოვანი რუსული პრესა, ან რა ამბავს ატეხდა ჩვენი სასიქადულო ინტელიგენცია ქართულენოვანი რუსული ტელევიზიების ეთერებში. რას არ დააბრალებდნენ სააკაშვილს – ქართველობას გვართმევს, შეურაცხყოფას გვაყენებს, სექსუალური მანიაკია, ბავშვებს რყვნის, პატრიარქს როგორ კადრებს ამასო (ისიც იჯდება დარბაზში)... ახლა კი იგივე ხალხი დედის რძესავით შეირგებს ამ ამბავს. რატომ? პუტინისგან და ივანიშვილისგან მორთმეულს სხვა მადლი აქვს და იმიტომ. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ეს ყველაფერი სასწაულად მოვნათლოთ და დაველოდოთ, რა შედეგით დასრულდება სცენაზე ოლიგარქის გამოსახვა მენეჯმენტისთვის და არამხოლოდ“...

„ივანიშვილის საგვარეულო გერბი“; „ქართული ოცნების სიმბოლო „ცოცარი“; „ალბათ, კარგია, როცა სცენაზე დარბაზიდან საკუთარ თავს ხედავ“, – წერდნენ კომენტარებში ბიბილაშვილის „ფეისბუკ“-მეგობრები.

დეკორაციას გამოეხმაურა „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია, რომელიც „ფეისბუკის“ პირად გვერდზე წერს:

„ნუ, ახლა ასეთი დეკორაციები თუა აბესალომ და ეთერში, მაშინ ხო, მაშინ კაი. რაღა მეთქმის – ყოფილა დიადი“, – წერს გვარამია.

**თამარა ჩერგოლეიშვილი:** „ეს არის სინამდვილეში პითონი, რომელმაც ხადური გადაყლაპა“.

**ია ფარულავა:** „ეს სუფლიორის ბუნაგია, ბიჭო“.

**ნიკა გვარამია:** „ხადური გადაყლაპულიც ეგაა?“

## ბესელია: არ მეცალა, მასხარადქცეულ ელისაშვილს გამოვხმაურებოდი



ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია „ფეისბუკში“ წერს:

– არ მეცალა, მასხარადქცეული ელისაშვილის განცხადებას გამოვხმაურებოდი... ღირს კი?

უკვე ხომ ყველაფერი თავადვე აღიარა, რომ წამოიწყო წინასწარ დაგეგმილი დანაშაულებრივი ცილისმწამებლური კამპანია. თავადვე გაიხლართა ამ სცენარში.

რამდენიმე მარტივი კითხვა:

1. რა სტატუსით შევიდა მოწმე ელისაშვილი მოწმე ზაუტაშვილთან?

2. რატომ საჯაროდ არ განაცხადა ამის თაობაზე?

3. რატომ შესთავაზა მისი სასურველი ადვოკატი პატიმარ ზაუტაშვილს, როდესაც მას ჰყავს უკვე ადვოკატი (ელისაშვილს არ მოსწონს ადვოკატის განცხადებები).

4. რას და რატომ დაჰპირდა ელისაშვილი ზაუტაშვილს?

5. მოწმე (ამ ეტაპზე) მოწმეს სასურველი ადვოკატის აყვანას სთავაზობს საჯაროდ და არის თუ არა ეს ღია უკანონო ქმედება?

6. რა სტატუსით უნდა დაეხმაროს უკვე ყოფილი კომისიის თავ-რე მსჯავრდადებულს? ძველი „მეგობრების“ იმედად?

7. ახლა შეაწუხა „სინდისმა“ იმ პატიმრების გამო, ვინც თავისი ცილისწამებითა და ტყუილებით გაწირა?

ყველა ამ და სხვა კითხვაზე პასუხი ცნობილია! ეს ისე...

ფაქტია, უკვე იმდენად გაიხლართა საკუთარ ტყუილებში ეს ყველაფრის მკადრებელი ბიჭი, რომ ასეთი ფატალური შეცდომა დაუშვა! (ინფო9)

## ქართველი „კრიმინალური გენერალი“ სიდედრთან შეხვედრის დროს აეროპორტში დააკავეს



„შერემეტიევოს" აეროპორტში 38 წლის ქართველი „კანონიერი ქურდი“ ზურა ბენდელაძე, მეტსახელად „ქუთაისკი“, დაიჭირეს. „კრიმინალური გენერლის“ დაკავების მორიგი საბაბი რუსეთის ტერიტორიაზე უკანონო ყოფნა გახდა. შეგახსენებთ, რომ ქურდის ტიტული ბენდელაძეს 2008 წლის ნოემბერში დედ ჰასანის „ავტორიტეტულმა“ კლანმა მიანიჭა. როგორც რუსული მედია წერს, ზურა ენდელაძე ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული კანდიდატურა იყო ქურდულ სამყაროში, რადგან მას „შესანიშნავი კრიმინალური წარსული“ ჰქონდა. თუმცა სხვა ტიტულოვან ქუთაისელებთან ბენდელაძე არცთუ ისე კარგი ურთიერთობით გამოირჩეოდა.

არალეგალური მიგრანტი „კანონიერი ქურდი“ უკვე მესამედ არის რუსეთის ტერიტორიაზე უკანონოდ ყოფნის გამო დაკავებული. სავარაუდოდ, მას დეპორტაცია ელის. (ნიუპოსტი)

## ბათუმში ე.წ. „ღორის გრიპით“ 39 წლის მამაკაცი გარდაიცვალა



აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 39 მამაკაცი ბათუმის სამედიცინო ცენტრ „მედინაში“ გარდაიცვალა, სადაც პაციენტი ერთი კვირის წინ გადაიყვანეს.

როგორც აჭარის ჯანდაცვის სამინისტროში ამბობენ, ამ დროისთვის ლაბორატორიულად დადასტურებული H1N1 ვირუსით სამედიცინო ცენტრ „მედინაში“ მკურნალობას 5 ადამიანი განაგრძობს.

შეგახსენებთ, რომ ე.წ. „ღორის გრიპით“ საქართველოში ამ დროისთვის უკვე 6 ადამიანია გარდაცვლილი.

როგორც აჭარის ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, უწყება საგანგებო რეჟიმში მუშაობს და რეგიონში მკაცრად მიმდინარეობს H1N1 ვირუსთან დაკავშირებით შემოწმება. (pia.ge)

## ბიძინა ივანიშვილი ნაქირავებში ცხოვრობს... და თურმე, ბანკის სესხებისგან იხრჩობა, ხელფასი თვიდან თვემდე არ ჰყოფნის...

სოლოლაკის ბიზნესცენტრი ბიძინა ივანიშვილის საკუთრებას არ წარმოადგენს. საქართველოს ექსპრემიერი და უმდიდრესი მოქალაქე ბიძინა ივანიშვილი შენობას კომპანია „ფინსერვის ოცდამეერთესგან“ თვეში 194 460 აშშ დოლარად ქირაობს.

„ფინსერვის ოცდამეერთე“ „ქართუ ჯგუფის“ შემადგენლობაში შედის, რაც იმას ნიშნავს, რომ ივანიშვილი ბიზნესცენტრს საკუთარი თავისგან ქირაობს.

ივანიშვილის ბიზნესცენტრი „ქართუ ჯგუფის“ კიდევ ერთმა კომპანიამ „ელიტა ბურჯმა“ ააშენა. პროექტის ავტორი იაპონელი შინ ტაკამაცუა, მისი ღირებულება, „ფორბსის“ ინფორმაციით, დაახლოებით 50 მილიონი აშშ დოლარია.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, „ფინსერვის ოცდამეერთეს“ ორი მფლობელი ჰყავს – შპს „ფინსერვისი“ (99,5%) და შპს „ჰორიზონტი“ (0,5%) არიან. შპს „ფინსერვისის“ დამფუძნებელია ოფშორში რეგისტრირებული კომპანია „ვიზელა ენთერპრაიზისი“.

„ფინსერვისი“ და „ელიტა ბურჯი“ 2012 წლის არჩევნების ერთ-ერთი მსხვილი დამფინანსებლები იყვნენ – შპს „ელიტა ბურჯმა“ და „ფინსერვისმა“ კოალიციას მაშინ 100 ათასი ლარი გადაურიცხეს. (ტაბულა)

# რატომ აღარ საუბრობს მერია „სითი პარკზე“?




დიანა ლიპარტელიანი

571 80-40-80


**რატომ აღარ საუბრობს მერია „სითი პარკზე“ და რა მიზეზით გრძელდება თბილისის საქალაქო სამსახურებში კადრების განთავისუფლება?**

**„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრი თამთა შამათავა ესაუბრა:**



**— თამთა, ბევრისგან მსმენია, „სითი პარკზე“ აღარავინ საუბრობს, არც პარლამენტი, არც მთავრობა, არც მერია, ეტყობა რაღაცა მოხდაო. რაშია საქმე ხომ არ იცით?**

– ახალი არაფერია, მერიის და საკრებულოს „ქართული ოცნების“ პოზიცია ყველას კარგად გვახსოვს. მაშინ ამბობდნენ, რომ ამ ყველაფერში გარეული იყო „ნაციონალური მოძრაობა“ და მილიონობით ლარი მიედინებოდა მათ ჯიბეში. მარტივი ლოგიკით, თუ ადრე „ნაციონალური მოძრაობა“ იყო დაინტერესებული „სითი პარკით“ და მილიონებს შოულობდა, იმავე ლოგიკით დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ყველაფრით „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნები არიან დაინტერესებული. ასე რომ არ იყოს მაგათ ვინმე გააჩუმებდა?

**— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

– საუბარია დავით ნარმანიაზე და მის გუნდზე. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ მათი მხრიდან მთელი ამ ხნის განმავლობაში არანაირი საკანონმდებლო ინიციატივა არ ყოფილა, არავის უნახავს ამ პრობლემის გადაჭრის გზის მაძიებელი ნარმანია, პირიქით, სიტუაცია გართულდა და იმ პირობებში, როდესაც ქალაქში მანქანების რაოდენობა იზრდება, პარკირების პრობლემა კიდევ უფრო გართულებულია და ამ საკითხზე ხმას არავინ იღებს.

თამამად შემვიძლია ვთქვა, რომ „სითი პარკთან“ მერიის გარდა გარიგებაში შესულია „ქართული ოცნება“ და ისინი იღებენ დიდი რაოდენობის თანხას „სითი პარკის“ ხელით თანაქალაქელებისგან. რაც უფრო სანდომიანი სახე აქვს ჩვენს მერს, დავით ნარმანიას, მით უფრო დიდი გაიძვერაა. ყველას კარგად გვახსოვს როგორ საუბრობდა „სითი პარკთან“ მიმართებაში და დღეს ყველა ვხედავთ, როგორ შარშანდელი თოვლივით გაქრა მისი ეს ტონი. სხვათა შორის, არ იქნება ურიგო, დაინტერესდეს საზოგადოება, რამდენით არის გაზრდილი „სითი პარკის“ შემოსავალი მას შემდეგ, რაც დავით ნარმანიაა ხელისუფლებაში. მაქვს ინფორმაცია, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობითაა თანხა გაზრდილი.

**— რა გიკვირთ, ვერ ხედავთ, როგორ მოიმატა მანქანების რაოდენობამ? ისე, „სითი პარკის“ თემის მიჩუმათებას ნარმანია დამოუკიდებლად ვერ გადაწყვეტდა, „მთავარი“ ვინ არის ამ საქმეში?**

– ყველა გზა სოლოლაკში მიდის, მაგრამ მარტო ეს რომ იყოს პრობლემა, რა უჭირდა. ამდენი ხანია ვსაუბრობთ, რომ მერიაში კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება კორუფციული გარიგებები. მაგრამ ჯოკია ბოდოკიას გარდა დაკავებულყლი არავინ გვინახავს. ცალკე პრობლემად რჩება პრემიების საკითხი მერიაში და საკრებულოებში, რამაც ჯამში პრემია-დანამატებზე 567 225 ლარი შეადგინა. როდესაც მათი ნამუშევარი არ ეტყობა ქალაქს, რატომ უნდა იღებდნენ ეს ადამიანები პრემიას? მით უმეტეს, საკრებულოში ვინ არიან დასაქმებულები, ძალიან კარგად ვიცით, სულ ნათესაურ-პოლიტიკური ნიშნით. ბევრ ადამიანს ანთავისუფლებენ სამსახურებიდან იძულებით, ზეწოლის შედეგად, რომ თავისი ახლობელი დანიშნონ იქ. ამ მიმართულებით მართლა არის ძალიან დიდი პრობლემა და ამას მოწმობს მერიის დაქვემდებარებაში არსებული ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკის მაგალითი. ამ ბიბლიოთეკის დაფინანსება დამოკიდებულია დედაქალაქის მერიაზე და შესაბამისად, ქალაქის მერია წყვეტს იქ კადრების დანიშვნა-არდანიშვნის საკითხს.

**— და რა ხდება ასეთი ამ ბიბლიოთეკაში?**

– იქ 2015 წლის ზაფხულში შეიცვალა ხელმძღვანელობა და დაინიშნა ლენა ასკურავა, რომელიც წლების განმავლობაში იყო უფროსის მოადგილე. როგორც თანამშრომლები ამბობენ, ამ ხნის განმავლობაში ეს ადამიანი სამსახურში თვალით არავის უნახავს, მაღალ ხელფასს ისე იღებდა. მას შემდეგ, რაც ეს ადამიანი მივიდა თანამდებობაზე, მოადგილედ დანიშნა ვინმე ჯანელიძე, რომელმაც დაიწყო სადამსჯელო ღონისძიებების გატარება, საუბარია ისეთ ადამიანებზე, რომლებიც ათწლეულობით ემსახურებოდნენ ბიბლიოთეკას. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს ხალხი არ იყო „ნაციონალების“ დროს მოყვანილი, ეს ხალხი მას შემდეგ მუშაობს, რაც ბიბლიოთეკა შეიქმნა. დღეს „თავის ნებით“ სამსახურიდან განთავისუფლებულია 32 ადამიანი. მათ განთავისუფლების საფუძვლად უწერიათ ის, რომ თურმე 2016 წლისთვის ახალი საშტატო ნუსხა უნდა შეემუშავებინათ. არანაირი საშტატო ნუსხა არ ყოფილა, ეს რომ ასე იყოს, საჯარო მოხელეს ამის თაობაზე უნდა შეატყობინო რამდენიმე თვით ადრე. ასეც რომ იყოს, ეს არ ნიშნავს, რომ უპირობოდ უნდა გაათავისუფლონ ადამიანი სამსახურიდან. აღნიშნული საშტატო ერთეულები ისევ არსებობს და ამის თაობაზე „მედიატორთან“ საუბრისას პირადად ჯანელიძემ და ასკურავამ დაადასტურეს. თვითონვე თქვეს, რომ არანაირი შემცირება არ მიმდინარეობს ბიბლიოთეკაში. ამავდროულად, მოქმედ თანამშრომლებზე მიმდინარეობს ზეწოლა, რომ დატოვონ თანამდებობა.

**— თუ იმის გამო ანთავისუფლებენ ამ ხალხს, მაშინ რატომ არ შეივსო გამოთავისუფლებული ადგილები?**

– შეავსებენ. საქმე ისაა, რომ საარჩევნო წელია, ხელისუფლებას ეშინია მოსალოდნელი მარცხის და გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, დაასაქმონ პარტიული აქტივი, რომელსაც არჩევნებამდე ჰპირდებოდნენ სამუშაო ადგილებს. ჯანელიძესა და ასკურავას სიზმარი კი არ უნახავთ, ეს ხალხი რომ გაეთავისუფლებინათ, მათ დავალება მიიღეს დედაქალაქის მერიიდან, კონკრეტულად საუბარია კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელ გია მაქაცარიაზე, რომლის დავალებითაც ხდება თანამშრომლების განთავისუფლება. ჩვენ გამოვითხოვეთ საშტატო ნუსხა და შევისწავლეთ. ყველა ეს ქმედება უკავშირდება არჩევნებს და სჯიან ისეთ ადამიანებს, რომლებიც მათი მხარდამჭერები არ არიან.

„ალია“ მერიის კულტურის საქალაქო სამსახურს დაუკავშირდა, სადაც ასეთი რამ გვითხრეს: „თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური აბსოლუტურად არ ერევა მის დაქვემდებარებაში არსებული მუნიციპალური ობიექტების საკადრო პოლიტიკაში რაიმე სახით“.

ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკასაც დავუკავშირდით, სადაც, ასევე გამორიცხეს მერიის კულტურის საქალაქო სამსახურთან კავშირი: „თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში და მუნიციპალიტეტის სუბსიდირებაზე მყოფი იურიდიული პირები საქმიანობას და მათ შორის, შრომითი ურთიერთობების წარმართვას ახორციელებენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის დებულების შესაბამისად, დამოუკიდებლად. ამასთანავე, თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის საქმიანობის შიდა აუდიტსა და მათი თანამშრომლების საქმიანობის ინსპექტირებას ახორციელებს მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური“.

„ალია“ კვლავ „მედიატორს“ დაუკავშირდა: „ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკა დედაქალაქის ბიუჯეტიდან ფინანსდება. ამის მერე საზოგადოებამ თავად განსაჯოს ტყუილ-მართალი“, – გვითხრა თამთა შამათავამ.

**„რაც უფრო სანდომიანი სახე აქვს ჩვენს მერს, დავით ნარმანიას, მით უფრო დიდი გაიძვერაა. ყველას კარგად გვახსოვს როგორ საუბრობდა „სითი პარკთან“ მიმართებაში და დღეს ყველა ვხედავთ, როგორ შარშანდელი თოვლივით გაქრა მისი ეს ტონი“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარზე საქართველოს მოქალაქე დააკავეს



ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ინფორმაციით, გუშინ ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარზე საქართველოს მოქალაქე დააკავეს.

ე.წ. კომიტეტის „ფეისბუკის“ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, 1969 წელს დაბადებული მოქალაქე გორის რაიონის სოფელ ზერტის მკვიდრია.

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. სასაზღვრო სამსახური დაკავებასთან დაკავშირებით მასალებს ე.წ. სასამართლოში გადასაცემად ამზადებს.

ზერტის მკვიდრ ჯიმშერ ტიელიძეს ბრალად ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა ედება. (ინტერპრესნიუსი)

## რით გარდაიცვალა იური ვაზაგაშვილის საქმის მოწმე — ახალი დეტალები



იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმის ერთ-ერთი მოწმის გარდაცვალების მიზეზი გრიპის ვირუსი გახდა.

ამის შესახებ ვაზაგაშვილის ოჯახის ადვოკატი გაგი მოსიაშვილი აცხადებს.

– პირველადი ინფორმაციით, ქალბატონი გრიპით გარდაიცვალა. რამდენად არის ეს სწორი, ცოტა ხანში გაირკვევა, – ამბობს მოსიაშვილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარს იური ვაზაგაშვილის და, მანანა ვაზაგაშვილიც აკეთებს.

– ცუდად იყო გრიპით. მეუღლეც და შვილიც ცუდად ჰყავდა. თავის თავს სათანადო ყურადღება ვერ მიაქცია. სასწრაფომ რომ წაიყვანა, თირკმელები და ფილტვები უკვე გათიშული ჰქონდა. ასე რომ, რაც ვრცელდება, რომ გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა და ასე შემდეგ, ეს ტყუილია“, – ამბობს მანანა ვაზაგაშვილი.

იური ვაზაგაშვილის საქმის ერთ-ერთი მოწმე, ქალბატონი, რომელიც სოფელ ყარაფილაში ვაზაგაშვილების საფლავს უვლიდა და დამლაგებლად მუშაობდა, რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა.

## ირმა ინაშვილის პასუხი თინათინ ხიდაშელს: „მოგტყდება ეგ სქელი რქები, თან მალე“

„პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი თავდაცვის მინისტრ თინათინ ხიდაშელის გაცხადებას ეხმაურება. განცხადებაში თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ არც ერთ პირს არ გამოუთხოვია ოფიციალური ინფორმაცია სამხედროების არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

– თინიკო გამყალბებლოვნას: რატომ უნდა მოემართა ვინმეს თავდაცვის სამინისტროსთვის, როცა პირდაპირ უწყებათაშორის კომისიაზე ვსვამდით ამ საკითხს სწორედ საგარეჯოს არჩევნებამდე და ვითხოვდით განმარტებას, რამდენი სამხედრო პირი იმყოფებოდა მუხროვანში. თავდაცვის სამინისტრო კი, ამ სხდომებზე გვპასუხობდა, რომ მუხროვანში მხოლოდ 25 ჯარისკაცია, რომელიც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობასო. ამის გამო, თეა წულუკიანმა შეგაქოთ კიდეც, მაგრამ სულ ტყუილად. რამდენიმე დღეში მთელი 500 ჯარისკაცი გადაისროლე მუხროვანში! მაჭავარიანსა და გოგორიშვილსაც კი გადაუჯოკრე საარჩევნო უსინდისობასა და კანონის ფეხზე დაკიდებაში. ჰოდა, მოგტყდება ეგ სქელი რქები, თან მალე, – წერს ირმა ინაშვილი. (mpress.ge)

პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრი ზურაბ ზვიადაური სკანდალურ განცხადებას აკეთებს და ამბობს, რომ ძიუდოში 90-იანი წლები ბრუნდება. ძიუდოს ფედერაციაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით ზვიადაურმა კომიტეტის სხდომაზე ისაუბრა. მისი ინფორმაციით, დღეს სპორტსმენებს არ აქვთ შეკრებებისა და ვარჯიშისთვის სათანადო პირობები. ზვიადაური მედიქვეყანას ასახელებენ. სპორტსმენები ვართ და ვიცით, რა სჭირდება სპორტსა და სპორტსმენებს. მათ გვერდზე დგომა და ის ელემენტარული პირობები სჭირდებათ, რაც ჩვენ 90-იან წლებში გვაკლდა. ვფიქრობ, დღეს 90-იანი წლები დაბრუნდა და ბრუნდება, ვინაიდან ამის თაობაზე სპორტსმენების გულისტკივილი მოვისმინე. ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი იმ ნაკრებს გათბობას არ ურთავს, რომელიც

## ზურაბ ზვიადაური: „90-იანი წლები დაბრუნდა“



ას მოუწოდებს, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტ დავით ქევხიშვილსა და სპორტსმენებს შორის დამოკიდებულება საჯარო გახადონ.

– ყველასთვის გასაკვირი იქნება, რომ მე ამ განცხადებას ვაკეთებ, რადგან ცოტა ხნის წინ, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი და ფედერაციაც საუკეთესოდ დასახელდა, რაც კარგია და ვაღიარებ, რომ ის წარმატებული ფედერაციაა, მაგრამ ფედერაცია წარმატებული იმ ბიჭებით არის, რომლებიც წელებზე ფეხს იდგამენ და მას საქართველოს ეროვნული ნაკრები ჰქვია. მინდა, რომ ვისაც ძიუდოს სამყაროზე გული შესტკივა, ასევე, სპორტის სამინისტროსა და მინისტრს ვთხოვოთ და მოვთხოვოთ, ყურადღება მიაქციონ და გადახედონ იმას, რა ხდება ძიუდოს სამყაროში.

ჩემს მეგობრებს შევხვდი, რომლებიც ძიუდოს წამყვანი სპორტსმენები არიან, რომლებიც გვიხარია, რომლებსაც ტაშს ვუკრავთ და რომლებიც საქართველოში ნომერ პირველი სპორტია.

ყველას ვთხოვ და მოვითხოვ კიდეც, რომ ამ საკითხს ყურადღება მიაქციონ, მას დღესვე დაუძახონ და გაარკვიონ, რა ხდება და რატომ არის მსგავსი მდგომარეობა ძიუდოში.

ბიჭები, რომლებიც შეკრებას გადიოდნენ, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა სახლებში გაუშვა, ოთხი დღე არ დატოვა და მათ უთხრა, რომ სახლებიდან ევლოთ, რაც სწორი დამოკიდებულება არ არის.

ბატონო შოთა, თქვენ ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყავით და იცით, თითოეული დღე როგორი მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ოლიმპიური წელია, – მიმართა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შოთა ხაბარელს ზვიადაურმა.

შოთა ხაბარელის განცხადებით, ეს თემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ოლიმპიადა კარსაა მომდგარი და წინ სალიცენზიო შეჯიბრებებია ჩასატარებელი. (პირველი რადიო)

## დათვზე ნადირობის გამო პროკურორი თანამდებობას ტოვებს



გურჯაანის რაიონული პროკურორი ლევან ღვედაშვილი მოკლულ დათვთან გადაღებულ ფოტოებზე განმარტებებს აკეთებს.

პროკურორი აცხადებს, რომ დათვზე უკანონო ნადირობაში არასდროს მიუღია მონაწილეობა.

– მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალე, გამეკეთებინა განცხადება ბოლო პერიოდში მასმედიით გავრცელებულ ფოტოსურათებთან დაკავშირებით, რომლებზეც დაფიქსირებული ვართ მე და ჩემი მეგობრები მოკლულ დათვთან.

მიუხედავად იმისა, რომ დათვზე უკანონო ნადირობაში არასოდეს მიმიღია მონაწილეობა და არც მასმედიით გავრცელებულ ფოტოსურათებზე ასახული ცხოველის მოკვლასთან კავშირს არ ვადასტურებ, სწორედ ჩემი პასუხისმგებლობის გრძნობიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ არ გაჩნდეს კიდევ დამატებითი კითხვები, რამაც შეიძლება იმოქმედოს პროკურატურის იმიჯზე, იმ უწყებაზე, რომელიც ჩემთვის ძალიან ძვირფასია, მივიღე გადაწყვეტილება და საქართველოს მთავარ პროკურორს მივმართე განცხადებით დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ, – აცხადებს ლევან ღვედაშვილი.

შეგახსენებთ, რომ ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ფოტოები, სადაც ჩანს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი დათვი, რომელზეც ყვარლის, ლაგოდეხისა და გურჯაანის პროკურორმა ლევან ღვედაშვილმა პროკურატურის სხვა თანამშრომლებთან ერთად ინადირა. (pia.ge)

## რუსეთმა ჰააგის სასამართლოს 2008 წლის აგვისტოს ომის საკუთარი გამოძიების მასალები გადასცა



რუსეთმა ჰააგის სისხლის სამართლის კრიმინალურ სასამართლოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ საკუთარი გამოძიების მასალები გადასცა.

„რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ამის შესახებ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ვლადიმერ მარკინმა განაცხადა.

მისი თქმით, გამოძიება ქვეყნის საგამოძიებო კომიტეტმა ჩაატარა.

– რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა ჩაატარა ქართველი სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულების დეტალური გამოძიება. რუსი გამომძიებლების მიერ მოპოვებული ყველა მტკიცებულება და მასალა საერთაშორისო სასამართლოს გადაეცა, – განაცხადა მარკინმა. (ნიუპოსტი)

## ელისაშვილი: ჯერ ლექსიკა ნახეთ პარლამენტის ვიცე-სპიკერის, მერე შინაარსს დაუკვირდით




თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე პარლამენტის ვიცე-სპიკერის კომენტარს ასაჯაროებს, რომელიც მანანა კობახიძემ ელისაშვილს ერთ-ერთ პოსტზე დაუწერა:

„ალეკოჯან, ჩაწერილია შენი და ანასტასიას საუბარი (ასე ვფიქრობ, თანაც კანონიერად, ჯიგარო) და გული მიგრძნობს, შავ დღეში ჩავარდები ჯიგარო“.

ელისაშვილი კომენტარის ფოტოს ავრცელებს და შემდეგ წარწერას ურთავს:

„ეს კომენტარი მანანა კობახიძემ დაწერა ჩემს გვერდზე, მერე მიხვდა, რაც დაწერა და წაშალა, მაგრამ შევინახეთ, ქალბატონო მანანა, თქვენდა სამწუხაროდ! ჯერ ლექსიკა ნახეთ პარლამენტის ვიცე-სპიკერის, მერე შინაარსს დაუკვირდით: ახლა კი ორი მთავარი შეკითხვა: 1. საიდან იცის ექვმიტანილმა კობახიძემ, რა ჩაიწერა გამოძიებამ? 2. და რაც მთავარია, საიდან იცის ამ ჩანაწერის შინაარსი? ველი პროკურატურის დაუყოვნებლივ რეაქციას მანანა კობახიძის ამ განცხადებაზე, – წერს ელისაშვილი. (პირველი რადიო)

საზოგადოების მხრიდან ხშირად ისმის კრიტიკა მაღალი თანამდებობის პირთა ანაზღაურების შესახებ. მედიასაშუალებებშიც ხშირად გავრცელებულა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომელ მინისტრს ან პარლამენტარს რამდენი აქვთ ანაზღაურება, დანამატი და ა.შ.

შევეცადეთ იმის გარკვევას, რა უჯდება სახელმწიფოს უკვე ყოფილი თანამდებობის პირთა შენახვა.

ამ შემთხვევაში ყოფილი პარლამენტარების, პრემიერ-მინისტრებისა და პრეზიდენტების ანაზღაურებით დავინტერესდით.

როგორც იურისტმა ლევან ალაფიშვილმა გვითხრა, ყოფილი პრეზიდენტები არ იღებენ ფულად დახმარებას, მათ მხოლოდ პირადი დაცვა უნარჩუნდებათ, ხოლო პრეზიდენტის ოჯახი იმ შემთხვევაში იღებს დახმარებას, თუ ეს უკანასკნელი გარდაცვლილია ან ჯანმრთელობის პრობლემა აქვს და ოჯახის რჩენა არ შეუძლია.

რაც შეეხება სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა ანაზღაურებას, ზემოაღნიშნული დადგენილების მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსისა და უფროსის მოადგილის ანაზღაურება 2500 ლარია, ცვლის უფროსი იღებს 2000 ლარს, დაცვის უფროსი ოფიცრის ანაზღაურება 1800 ლარია, ხოლო დაცვის ოფიცრის – 1600 ლარი. პრეზიდენტის პირადი დაცვის დეპარტამენტის უფროსის ანაზღაურება 2400 ლარს შეადგენს, დეპარტამენტის უფროსის მოადგილისა კი – 2100 ლარს. პრემიერ-მინისტრის დაცვის უფროსი ოფიცრის ანაზღაურება 1500 ლარია, ხოლო დაცვის ოფიცრის – 1300 ლარი.

რაც შეეხება ყოფილ პარლამენტარებს, როგორც პარლამენტში გვითხრეს, ყოფილ დეპუტატებს ენიშნებათ სახელმწიფო კომპენსაცია, ანუ ყველასთვის ცნობილი პენსია და აკადემიური სტიპენდია.

## რა უჯდება სახელმწიფოს ყოფილი თანამდებობის პირების შენახვა



– ყოფილი პრეზიდენტი, თუ ის არის ცოცხალი, ჯანმრთელი და შეუძლია მუშაობა, არანაირ დახმარებას არ იღებს სახელმწიფოსგან, მაგრამ თუ არის გარდაცვლილი ან ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს ცუდი, მისი ოჯახი სახელმწიფოსგან იღებს დახმარებას, – ამბობს ლევან ალაფიშვილი.

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ მთავრობის დადგენილების თანახმად, პრემიერ-მინისტრსაც და პრეზიდენტსაც თანამდებობის დატოვების შემდეგ პირადი დაცვა უნარჩუნდებათ სიცოცხლის ბოლომდე.

– პარლამენტის წევრს ენიშნება კომპენსაცია, ანუ ის, რასაც ჩვენ პენსიას ვეძახით. ეს ენიშნებათ ჩვეულებრივ 65 წლის, ანუ საპენსიო ასაკში. საპენსიო თანხა შეადგენს არაუმეტეს 560 ლარს. გარდა ამისა, არის მეორე შემთხვევა, როცა ყოფილი დეპუტატი იყო პარლამენტის წევრი და აქვს 25-წლიანი სტაჟი, როცა ასეთი შემთხვევებია, აუცილებელი არ არის ის ადამიანი იყოს 65 წლის, შეიძლება იყოს უფრო ახალგაზრდაც. ამ შემთხვევაშიც იგივე თანხა ინიშნება, ანუ 560 ლარი, ამ ოდენობაზე მაღალი არ ენიშნებათ არც ერთ შემთხვევაში, – განაცხადეს პარლამენტის პრესსამსახურში. (ambebi.ge)

## გარდაბნის არჩევნები ჩხუბების, ქვებისა და იარაღის ფონზე



გარდაბანში საარჩევნო უბნები 20:00 საათზე დაიხურა, თუმცა ერთი საათით ადრე რაიონში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. მხარეებს შორის დაწყებული დაპირისპირება ქვების სროლაში გადაიზარდა, უბნებთან ერთი იარაღიანი პირიც გამოჩნდა. ადგილზე მობილიზებული იყო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი.

ოპოზიციონერებმა მმართველი გუნდის წევრები მათ აქტივისტებზე ზეწოლასა და უბანზე არჩევნების ჩაშლის მცდელობაში დაადანაშაულეს.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პარალელურად „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა საარჩევნო უბნებთან ძალოვნებიც დააფიქსირეს. ოპოზიციის ინფორმაციით, 40-კაციანი ჯგუფი 62-ე უბანზე ამომრჩეველზე ზეწოლას ღიად ცდილობდა.

მმართველი გუნდის დეპუტატების მსგავსად, ადმინისტრაციული რესურსისა და სუს-ის თანამშრომლების საარჩევნო პროცესში ჩართვა უარყო კახი კალაძემ.

ცესკოს ინფორმაციით, არჩევნებში მონაწილეობა 23,805-მა ამომრჩეველმა მიიღო, რაც გარდაბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 33,13 პროცენტია.

დაიწერა 22 საჩივარი, რომლებიც ძირითადად პროცედურულ საკითხებს შეეხებოდა, ხოლო ერთი საჩივარი შესულია საოლქო საარჩევნო კომისიაში.

შეგახსენებთ, რომ გარდაბანში გამგებლის რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა. ადგილობრივები არჩევანს „ქართული ოცნებიდან“ გოჩა ჯამარაულსა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ბესიკ კახაბრიშვილს შორის აკეთებდნენ. (rustavi2.com; cesko.ge)

## თბილისში მომხდარი ტრაგედიის დეტალები — მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე



ლანჩხუთელმა 30 წლის გ. დოლიძემ ცოლი ნ. კილასონია მოკლა, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

დოლიძე და მისი მეუღლე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანიდან თბილისში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ.

არსებული ინფორმაციით, ქმარი მეუღლეზე ხშირად ეჭვიანობდა, რაც შესაძლოა, მკვლელობის მიზეზი გამხდარიყო. ახლობლების თქმით, ცოლ-ქმარს კარგი ურთიერთობა არ ჰქონდათ. ოჯახი სოციალურად შეჭირვებულ კატეგორიას მიეკუთვნებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, ქალბატონი ამბობდა, რომ მას სოციალური დახმარება ცოტა ხნის წინ მოუხსნეს.

როგორც გამგებლის წარმომადგენელი ნიგოითის თემში, ვასილ აბუსერიძე ამბობს, ოჯახი თბილისში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა და მათ ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავთ.

შემთხვევა ვარკეთილში, შუამთის ქუჩაზე მოხდა.

მკვლელობის მოტივი ამ დროისთვის უცნობია. ფაქტს არც თვითმხილველი ჰყავს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ქალბატონის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება 108-ე, განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს, ხოლო მამაკაცზე – 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით. (ნიუპოსტი)

## მარნეულში 7 თვის ორსულს ბავშვი ტუალეტში ჩაუვარდა



მარნეულში 7 თვის ორსულს ბავშვი ტუალეტის ჭაში ჩაუვარდა.

არსებული ინფორმაციით, ორსულ ქალს მშობიარობა საპირფარეშოში ყოფნის დროს დაეწყო.

ჭა დაახლოებით სამი მეტრის სიღრმის იყო.

ოჯახმა დახმარებისთვის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს მიმართა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მარნეულის სამმართველოს თანამშრომლებმა ბავშვის ჭიდან ამოყვანა დროულად მოახერხეს. ამ დროისთვის ახალშობილი ადგილობრივი სამშობიაროს რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. (etanews.ge)

# „საქართველოს ბანკის“ ფარულ ოპერაციაზე მოკვლევა დაიწყო

**ომარ ნიშნიანიძე: „... ეს თანხა მთლიანად „საქართველოს ბანკმა“ იყიდა და სად წაიღო, კაცმა არ იცის. ამიტომაც ლარის კურსზე საერთოდ არ იმოქმედა გამოტანილმა თანხამ“**





გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

**რას ამბობენ საპარლამენტო უმრავლესობაში ლარის გაუფასურებაზე? მოიცლიან კი კოალიციაში ასეთი „წვრილმანებისთვის“ მაშინ, როცა გააფთრებული ბრძოლა მიდის საარჩევნო სიებთან დაკავშირებით? რას ამბობენ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე?**

**„ალიას“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ომარ ნიშნიანიძე ესაუბრება:**

**— უკვე დიდი ხანია საუბარია, რომ მიდის დიდი ომი საარჩევნო სიებთან დაკავშირებით. რა ხდება, დავიჯეროთ?**

– ჩვენ ამ საქმეში ჯერჯერობით არავინ გვრევს, მაგრამ გულახდილად გეტყვი, სიებთან დაკავშირებით ვაჭრობა მიდის. თუმცა მე არ მგონია, ეს პრობლემა გადაულახავი იყოს. მადა ყველას გვაქვს, მაგრამ რეალობა სხვანაირია, ჩვენ ყველას უნდა დავუმტკიცოთ, რა ეკუთვნით და რა არ ეკუთვნით კოალიციაში შემავალ სუბიექტებს.

**— ვისთან ვაჭრობენ, „ქართულ ოცნებასთან“ თუ კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილთან?**

– ჯერჯერობით ვაჭრობენ ერთმანეთში, თვითონ კოალიციაში შემავალი სუბიექტები. ჯერ სიტუაცია უკიდურესად არ არის გამწვავებული.

**— მაგრამ ცოტა ხანში ისე გამწვავდება, დედა შვილს აღარ აიყვანს ხელში.**

– კი, მაგრამ მე არ მიკვირს, ადრეც ასე იყო, 2012 წელს კოალიციის შექმნის მომენტს ვგულისხმობ. როგორ ფიქრობ, მაშინ ვაჭრობა არ მიდიოდა? მიდიოდა, რა თქმა უნდა. მადა მაშინაც მაგარი ჰქონდათ ვილაცებს, მაგრამ არ გამოუვიდათ. ვადასტურებ, მაგ მხრივ რთული მდგომარეობაა, მაგრამ ვფიქრობ, ამასაც ეშველება.

**— მაგას ეშველება, ბოლოს და ბოლოს, სკამებს გაიყოფენ, მაგრამ რა ეშველება ლარს, რომელიც ყოველდღიურად უფასურდება და ხალხი ლამისაა ჭკუიდან გადავიდეს, უმრავლესობაში ამაზე რამეს ფიქრობთ, თუ ასე უნდა მიუშვათ სიტუაცია?**

– ლართან დაკავშირებით გული მისკდება. მე მაქვს ინფორმაცია, რომ რამდენიმე დღის წინ 20 მილიონი დოლარი გამოიტანა გასაყიდად ეროვნულმა ბანკმა, ეს თანხა მთლიანად „საქართველოს ბანკმა“ იყიდა და სად წაიღო, კაცმა არ იცის. ამიტომაც ლარის კურსზე საერთოდ არ იმოქმედა გამოტანილმა თანხამ. მე ყველა ჩავაყენე საქმის კურსში, მათ შორის, ჩემი კოლეგებიც. ვისაც გადამოწმებისა და შესწავლის საშუალება აქვს, ყველას მივაწოდე ინფორმაცია და მიდის შესწავლის პროცესი. იმედი მაქვს, ამ ყველაფერს სხვა დონეზე გადაამოწმებენ. ამას უკვე ჰქვია ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა.

**— მარტო დეკემბერში ქვეყნიდან გასულია 80 მილიონ დოლარზე მეტი, თუ 20 მილიონიც ასე „მოტეხეს“, მაშინ კრახი გარდაუვალი იქნება.**

– ჰოდა, ამას ვამბობ, ეს საშინელებაა, მე ვიცი, ხალხი რა დღეშია. მე მინდა, „საქართველოს ბანკთან“ დაკავშირებით პრემიერ-მინისტრსაც ვუთხრა, ისიც უნდა ჩავაყენო საქმის კურში.

**— ესე იგი, პარლამენტში სწავლობთ, რაც მოხდა?**

– რა თქმა უნდა, ვსწავლობთ და შესაბამისი კომიტეტიც არის დაინტერესებული. თუ ასე გააგრძელეს, დავიღუპებით. ეს ქადაგიძე თებერვალში მიდის, მაგრამ ჩვენ ასე ვუყუროთ? ჯერ არც ის ვიცით, მის ადგილზე ვის მოიყვანენ. ახლა ქადაგიძე იძახის, უნდა მოვიდე და ანგარიში ჩაგაბაროთო, ანგარიში ცოტა ადრე უნდა ჩაებარებინა, ახლა რაღა აზრი აქვს? წასვლისას რომ კუდი მოიქნია, ამაზე უნდა გველაპარაკოს? ახლა გინდა ლანძღე, გინდა გალახე, უკვე წასულია.

**— თუ სპეციალურად აკეთებს ამ ყველაფერს, მარტო გასალახია?**

– გასალახია თუ დასაჭერი, ეგ სამართალდამცავებმა გაარკვიონ. ახალი მოვა პარლამენტში და ბევრი რამ გაირკვევა.

**— ბატონო ომარ, ორი დღის წინ ღიად დაიწყო მოთხოვნები ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების თაობაზე, მაგრამ ვერ ვხედავთ უმრავლესობის წევრების განცხადებებს, ნუთუ ესეც მისაღებია თქვენთვის, როგორც ანტიდისკრიმინაციული კანონი. რას ამბობენ ამ საკითხზე „ქართულ ოცნებაში“?**

– არა, ფრაქცია „ქართული ოცნება“ ამ საკითხში იქნება ერთიანი. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ვიქნებით სასტიკი წინააღმდეგი.

**— ასე იყო ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით, მაგრამ მაინც ღიღინით მიიღეთ.**

– მართალი ხარ, მაგრამ ის კიდევ არ იყო მთლად კატასტროფა, მაინც ზოგადი ელფერი ჰქონდა. აი, მე პირადად ვიძლევი პირობას, თუ ეს კანონი იქნება მიღებული, პროტესტის ნიშნად დავტოვებ პარლამენტს. არ ვიცი, სხვები რას გააკეთებენ, მაგრამ მე ასე მოვიქცევი. როცა ანტიდისკრიმინაციულ კანონზე მიდიოდა მსჯელობა, მაშინ ვთქვით, თუ ოდესმე ერთსქესიანთა ქორწინების საკითხი დადგებოდა, ჩვენ გავუწევდით დიდ წინააღმდეგობას.

**— ჰოდა, როგორც ჩანს, ეს დროც დადგა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, საკონსტიტუციო სასამართლოს ვინც მართავს, დავუშვათ, პაპუაშვილმა გააუქმა ის ნორმა, თქვენ რანაირად გაუწევთ წინააღმდეგობას? კი, ბატონო, დატოვეთ პარლამენტი პროტესტის ნიშნად, მერე რა, ამით რა შეიცვლება? მე მაინტერესებს, ფაქტი როგორ უნდა აღკვეთოთ?**

– არა მგონია, ვერ მიიღებენ... თუ ჩვენ გავუწევთ კატეგორიულ წინააღმდეგობას, ვერ მიიღებენ ასეთ გადაწყვეტილებას.

**— საკონსტიტუციო სასამართლომ ბანკების ზედამხედველობის სამსახურის მოქმედება შეგიჩერათ თქვენსავე თვალწინ. ალბათ, გახსოვთ, რა გააკეთა იგივე სასამართლომ „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით. „ნაციონალებმა“ თქვენზე უკეთესად იციან, როგორ გააგიჟონ ხალხი და როგორ განაწყონ თქვენს წინააღმდეგ.**

– ვიცი... თუ ასეთ რაღაცას გააკეთებენ, მუდმივად სახელმწიფოს წინააღმდეგ წავლენ და მოსახლეობის უმრავლესობის აზრს არ გაითვალისწინებენ, მაშინ ასეთი სასამართლო საერთოდ არ მჭირდება. მე არ ვამბობ, რომ ჩავერევი სასამართლოს გადაწყვეტილებაში და ზეწოლას მოვახდენ, ამ შემთხვევაში ხალხი მიიღებს გადაწყვეტილებას და მე ამ ხალხს მხარს დავუჭერ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოსახლეობის 95 პროცენტი წინააღმდეგი იქნება. თუ საკონსტიტუციო სასამართლო მთელ ქვეყანას დაუპირისპირდება, მაშინ აგოს პასუხი ხალხის წინაშე.

**„ეს ქადაგიძე თებერვალში მიდის, მაგრამ ჩვენ ასე ვუყუროთ? ჯერ არც ის ვიცით, მის ადგილზე ვის მოიყვანენ. ახლა ქადაგიძე იძახის, უნდა მოვიდე და ანგარიში ჩაგაბაროთო, ანგარიში ცოტა ადრე უნდა ჩაებარებინა, ახლა რაღა აზრი აქვს? წასვლისას რომ კუდი მოიქნია, ამაზე უნდა გველაპარაკოს? ახლა გინდა ლანძღე, გინდა გალახე, უკვე წასულია“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლარის გაუფასურების ფონზე, სამომხმარებლო ბაზარში ფასები თითქმის 30 პროცენტით გაიზარდა



დოლართან მიმართებაში ლარის კურსის გაუფასურებამ უკვე იმოქმედა სამომხმარებლო ბაზარზე.

საცალო ბაზრის რეალიზატორები ამბობენ, რომ ფასები დაახლოებით 20-30 პროცენტით არის გაზრდილი როგორც საკვებ პროდუქტებზე, ასევე, პირველადი მოხმარების საგნებსა და სამოსზე.

– რაც დოლარის კურსით არის შეძენილი, ცხადია, მისი ასაღები ფასი გვემატება. ზოგიერთი პროდუქტი ერთი ლარითაც კი არის გაძვირებული. საქონლის 80 პროცენტი შემოტანილია. თავისთავად ცხადია, რომ გაზრდილია ფასები, – ამბობენ მოვაჭრეები.

შექმნილი ვითარების გამო, მოვაჭრეების ნაწილი გადასახადებს ვეღარ იხდის და იძულებულია, საქმიანობაზე უარი თქვას.

– ჩვენნაირი მცირე მეწარმეები საშინელ დღეში აღმოვჩნდით. ფასების ზრდის გამო, ბაზარში მომხმარებელი შემცირდა. ჩაძირული ხალხი ვართ. ყველას ბანკის ვალი გვაქვს, – აცხადებენ მოვაჭრეები და ფასების ზრდას მომავალშიც არ გამორიცხავენ. (bpn.ge)

## წლის პირველი ტენდერით ჩინოვნიკებმა ტუალეტის ქაღალდი იყიდეს

დაახლოებით, ექვსი ათასი ლარის ჰიგიენური საშუალებები – ეს არის პირველი ტენდერის შედეგი, რომელიც აჭარის მთავრობის აპარატმა მიმდინარე წელს უკვე გააფორმა.

ბათუმური კომპანია „ტრეიდინგ სერვისი“ რეგიონის მთავრობის აპარატს უმაღლესი ხარისხის ტუალეტის ქაღალდს, ქაღალდის ხელსახოცსა და თხევად საპონს მიაწვდის.

კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, 150-გრამიან ერთ ცალ ტუალეტის ქაღალდში მთავრობის აპარატი – 2 ლარსა და 80 თეთრს, ქაღალდის ხელსახოცში 9 ლარსა და 50 თეთრს იხდის.

აღსანიშნავია, რომ სავაჭრო ქსელებში არსებული ტუალეტის ქაღალდის ფასი ცალობაში, საშუალოდ, 0,60 თეთრიდან 0,80 თეთრამდე მერყეობს. (გურიანიუსი)

## ადრეც მაგას ამბობდით, ტარიფები არ გაიზრდებაო და კი გვიტირეთ ყოფის დღე, ბატონო მინისტრო!



ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, „გაზპრომთან“ მოლაპარაკებების ბოლო რაუნდი როდის იქნება, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.

ენერგეტიკის მინისტრი ვარაუდობს, რომ საბოლოო შეთანხმების მიღწევა მალე მოხდება. ასევე, კალაძე ოპონენტების ბრალდებებსაც პასუხობს და აღნიშნავს, რომ როგორც მინისტრმა, მან უნდა უზრუნველყოს მოსახლეობა ელექტროენერგიით და ბუნებრივი აირით.

– ახლა ძალიან მძიმე პერიოდია. ოპოზიციასთან დაახლოებული ადამიანები ცდილობენ, გადაიყვანონ ეს მოლაპარაკებები პოლიტიკურ სიბრტყეში. მე პრაგმატულად ვუყურებ ამას, რადგან ვიცი, რასაც ვაკეთებ ჩემი ხალხისთვის, საქართველოსთვის. როგორც მინისტრმა, მე უნდა უზრუნველვყო ჩემი ხალხი ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით. აირი რომ არ ყოფილიყო და ვერ მიგვეღო საქართველოს ბაზრისთვის საჭირო მოცულობები, შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ენერგეტიკის მინისტრი კალაძე ვერ უმკლავდება დაკისრებულ მოვალეობებს, მაგრამ ჩვენ შევაფასეთ ყველანაირი რისკი, – აცხადებს ვიცე-პრემიერი რადიო „თავისუფლებასთან“ ინტერვიუში.

კითხვაზე, ხომ არ დარჩებიან ქართველები სითბოს, ელექტროენერგიის გარეშე და ხომ არ გაიზრდება ტარიფები, მინისტრი აცხადებს:

– ტარიფების ზრდა არ იქნება!.. (pia.ge)

თბილისის მერიაში ტაქსის სერვისის მიმწოდებელ კომპანიებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას თბილისის ვიცე-მერი ლაშა აბაშიძე, მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი გურგენიძე, ასევე, საკრებულოს დეპუტატები და აღნიშნული სფეროს სპეციალისტებიც ესწრებოდნენ.

საუბარი შეეხო ტაქსის მომსახურე-საქმიანობა ხშირად შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს და შესაბამისად, საკითხის გარკვეულ რეგულაციაში მოქცევისას, მათი ინტერესები მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული.

თბილისის მერის მოადგილის, ირაკლი ლექვინაძის განცხადებით, შეიქმნება ჯგუფი და მომზადდება სამუშაო დოკუმენტი, რომელიც მოაწესრიგებს

## მერია ტაქსისტებისთვის რეგულაციებს ამზადებს




ბის სფეროში არსებულ ვითარებასა და პრობლემებს.

თბილისის მერიის წარმომადგენლებმა კომპანიების წარმომადგენლებს თავიანთი წინადადებები გააცნეს და მათი მოსაზრებები მოისმინეს.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, თბილისში დაახლოებით 40 000 ტაქსი მოძრაობს, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობა აღრიცხული არ არის, ასევე, არ არსებობს ინფორმაცია ტაქსის მძღოლების შესახებ, რაც უსაფრთხოების თვალსაზრისით გარკვეულ პრობლემებს ქმნის.

– ყველანი ვთანხმდებით, რომ მდგომარეობა არ არის სახარბიელო. ეს სფერო მოსაწესრიგებელია, მაგალითად, უსაფრთხოების მიმართულებით. გვინდა შევიმუშაოთ ისეთი სქემა, რომელიც მინიმალური ჩარევით, ეტაპობრივად, გარკვეულ რეგულაციაში მოაქცევს ამ საკითხს, – განაცხადა ვიცე-მერმა ლაშა აბაშიძემ.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ტაქსის მძღოლებისთვის აღნიშნული აღნიშნულ საკითხს.

– ძირითადი პრობლემა არის ის, რომ არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, როგორი ტიპის მანქანები მოძრაობს, ვინ არიან მძღოლები და როგორია მათი მდგომარეობა. შესაბამისად, განვიხილეთ მექანიზმები როგორ შეიძლება აღრიცხვიანობისა და რეგისტრაციის პროცედურის განხორციელება ისე, რომ ეს არ იყოს დაკავშირებული რაიმე დანახარჯებთან და არ დაზარალდეს არც ერთი მხარე. ჩვენი მიზანია, რომ ამ სფეროში არსებული ქაოსი მოწესრიგდეს და უსაფრთხოების ნაწილი იყოს პრიორიტეტული, – განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ. (პირველი რადიო)

**„ალია“ ამ საკითხზე დაზუსტებული ინფორმაციის მოპოვებას შეეცადა, თუმცა ირაკლი ლექვინაძემაც და ტაქსების მფლობელი კომპანიების წარმომადგენლებმაც გვითხრეს, რომ კონკრეტული გადაწყვეტილებები ჯერჯერობით მიღებული არ არის და რომ შეხვედრის მიზანი დასაწყისისთვის პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა იყო.**

## გვეხსნება გზა, რომ ჰააგის გამოძიება მივმართოთ ქართველი ტყვეების მკვლელობის საქმეებზე — წულუკიანი



იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, სასამართლოს გადაწყვეტილება ქართველი ტყვეების მკვლელობის ფაქტების გამოძიების საშუალებას იძლევა.

მინისტრის თქმით, მან ეს საკითხი ჰააგის პროკურორის წინაშე მისი თბილისში ვიზიტისას დააყენა.

– თბილისში შეხვედრის შემდეგ სწორედ ყველა ტიპის, რომის სტატუტიდან გამომდინარე, დანაშაულზე აქვს პროკურორს მიღებული ნებართვა. შესაბამისად, ჩვენ გვეხსნება გზა, რომ ჰააგის გამოძიება მივმართოთ ქართველი ტყვეების –" ანწუხელიძის, სოფრომაძისა და სხვების, მკვლელობის საქმეებზე. ეს იყო კიდეც ჩვენი პრიორიტეტი. ჩვენ შევძლებთ, ანწუხელიძის, სოფრომაძის, სხვა სამხედრო ტყვეების მკვლელობის თემაზე ვიმუშაოთ ჰააგის პროკურორთან ერთად, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

მინისტრის თქმით, პოზიტიურია ასევე ვადები, რაზეც გამოძიების ნებართვა გაიცა.

– პოზიტიურია და მივესალმებით იმას, რომ გამოძიებაზე ნებართვა გაიცა რამდენიმეთვიან პერიოდზე, კერძოდ, 2008 წლის 1-ლი ივლისიდან 2008 წლის 10 ოქტომბრამდე მომხდარ ფაქტებზე. ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რათა ვაჩვენოთ, როგორც მხარემ, რომ ომს, რომელიც აგვისტოში საქართველოს თავს დაეცა, ჰქონდა სერიოზული წინაპირობები. მივესალმებით იმ ფაქტს, რომ ეს საქმე ამ ნებართვის შედეგად მოექცევა სამართლებრივ ჩარჩოში, – განაცხადა წულუკიანმა. (ნიუპოსტი)

## ჰააგის სასამართლო შეცდომებზე გაამახვილებს ყურადღებას — შეცდომებზე, რომლებიც დანაშაულის ტოლფასია“



2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენებს ჰააგის საერთაშორისო სასამართლო გამოიძიებს. პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ვარაუდობს, რომ ჰააგის სასამართლოს განაჩენი ისეთივე დაბალანსებული ხასიათის იქნება, როგორიც ტალიავინის კომისიის დასკვნა იყო.

– რადგან ეს პროცესი დაიძრა, ალბათ, უფრო მკაცრი იქნება განაჩენი თითოეული მხარის მიმართ. სავარაუდოდ, ჰააგის სასამართლო როგორც რუსული, ასევე, ქართული მხარის შეცდომებზე გაამახვილებს ყურადღებას – შეცდომებზე, რომლებიც დანაშაულის ტოლფასია. ოღონდ უფრო მკაცრ პირობებს წამოაყენებს პასუხისგებისთვის. როგორ წამოაყენებს ამ პირობებს, როგორ მოახდენს თავისი განაჩენის ადმინისტრირებას, როცა ერთ მხარეს არის რუსეთის პრეზიდენტი და მეორე მხარეს – ოდესის გუბერნატორი, ეს უკვე იურისტების კომპეტენციაა, – აცხადებს რამაზ საყვარელიძე. (რეპორტიორი)

## დავით ქევხიშვილი ზურაბ ზვიადაურზე: მაგას ეტყობა, თავში აქვს პრობლემა



ძიუდოში 90-იანი წლების დაბრუნებასთან დაკავშირებით პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრის, ზურაბ ზვიადაურის განცხადებას საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქევხიშვილი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ აღნიშნული განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება.

მისი თქმით, არასოდეს არ ჰქონია საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნულ ნაკრებს ისეთი პირობები, როგორიც დღეს აქვს.

– რა უნდა ვთქვა, ეტყობა, მაგას თავში აქვს პრობლემა. თუ დიდი ყინვებიდან გამომდინარე, ყოველთვის არ არის ის ტემპერატურა, რაც უნდა იყოს, ეს, ალბათ, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, მაგრამ ყოველთვის არის ის ტემპერატურა, რომ მათ ვარჯიშში ხელი არ შეეშალოთ. ზვიადაურის მხრიდან ბრალდებები უსაფუძვლოა, – განაცხადა ქევხიშვილმა. (sportall.ge)

## აი, ,,ალია“-,,ქრონიკის“ აქტიურობის შედეგი — შს მინისტრის მოადგილეები ავტოდილერებს შეხვდნენ



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები შალვა ხუციშვილი და არჩილ თალაკვაძე მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების იმპორტიორი კომპანიების წარმომადგენლებსა და დილერებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე პარლამენტში ინიცირებული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკანონმდებლო პაკეტი, კერძოდ, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციასთან დაკავშირებული რეგულაციები განიხილეს.

შალვა ხუციშვილმა და არჩილ თალაკვაძემ სტუმრებს დეტალურად აუხსნეს პრობლემის არსი და გააცნეს შსს-ს ახალი კანონპროექტის მიზნები. იმპორტიორებსა და დილერებს მიეცათ საშუალება, საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინათ მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების შემოყვანისა და რეგისტრაციის შეზღუდვის პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე. ყურადღება გამახვილდა ვადებზე, აღნიშნული მანქანების ფასსა და ტექნიკურ გამართულობაზე, მათ გამოყენებაზე ავტოსპორტსა და ტურიზმის სფეროებში, რეექსპორტზე და მოსახლეობის ინფორმირებულობაზე ცვლილებებთან დაკავშირებით.

როგორც უწყებაში აცხადებენ, შეხვედრის მონაწილეთა მოსაზრებები და წინადადებები განხილული იქნება ახალი პროგრამისა და საკანონმდებლო ცვლილებების დამტკიცებამდე.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების იმპორტიორების, დილერების, მომხმარებლებისა და ყველა დაინტერესებული პირის საყურადღებოდ აცხადებს, რომ კანონპროექტში მოცემული და პროგრამის დაწყებასთან დაკავშირებული ვადები, რომელიც წინასწარ გაჟღერდა, იყო პირობითი და ეს ვადები ამ მომენტისთვის ჯერ არ არის განსაზღვრული. ვადების განსაზღვრა პარლამენტში ინიცირებული ცვლილებების მიღების მომენტში მოხდება, რა დროსაც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული გონივრული ე.წ. „ბუფერული“ პერიოდები ყველა ცალკეული ცვლილებისთვის, მათ შორის, მარჯვენასაჭიან ავტომობილებთან მიმართებაში. ამ პერიოდის ათვლა დაიწყება ცვლილებების დამტკიცების შემდეგ. ვადების შესახებ მოსახლეობას წინასწარ, საჯაროდ და ოფიციალური წყაროებით ეცნობება. მარჯვენასაჭიან ავტომობილებთან დაკავშირებული და სხვა რეგულაციები საბოლოო სახეს მიიღებს მოქალაქეთა ჩართულობის, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისა და საპარლამენტო განხილვების შემდეგ. (kvira.ge)

## კუნძულ სამოსთან ნავის ჩაძირვის შედეგად 24 დევნილი, მათ შორის 10 ბავშვი დაიღუპა



საბერძნეთის კუნძულ სამოსთან ნავის ჩაძირვის შედეგად 24 დევნილი, მათ შორის 10 ბავშვი დაიღუპა.

„დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, სანაპირო დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა 10 ადამიანის გადარჩენა შეძლეს, 11 კი დაკარგულად მიიჩნევა.

ერთ-ერთი დევნილის განცხადებით, რომელმაც ნაპირზე გაღწევა შეძლო, ნავში 45 ადამიანი იმყოფებოდა. მათი წარმომავლობა უცნობია. (kvira.ge)

## გუგული მაღრაძე გიორგი კანდელაკს გაჩეჩვით ემუქრება



ვერ არის ეს კანდელაკი ჭკუაზე, მომიყვანე ერთი გავჩეჩო, – ეს მკვახე გამოთქმა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა გუგული მაღრაძემ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, დეპუტატ გიორგი კანდელაკის მისამართით მას შემდეგ გამოიყენა, რაც კანდელაკმა მაღრაძეს ძველი ბროშურა გაუხსენა, სადაც ამ უკანასკნელს ლენინი რამდენჯერმე ჰყავს მოხსენიებული.

„ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ერთმანეთს სტრასბურგში, ევროსაბჭოში დაუპირისპირდნენ. გიორგი კანდელაკი გუგული მაღრაძეს კომუნისტური იდეების გატარებაში ადანაშაულებს. უმცირესობის დეპუტატი ერთ-ერთ გაზეთში კომუნიზმის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიას გამოეხმაურა, რომელიც, მისი თქმით, „ქართული ოცნების“ დეპუტატმა გუგული მაღრაძემ 80-იან წლებში გამოსცა.

კანდელაკის თქმით, მაღრაძე ამ ბროშურაში აქტიურად ახსენებს ლენინსა და კომუნიზმს. (exclusivenews.ge)

## ფატუ ბენსუდა არ გამორიცხავს, რომ ზოგიერთი პირის დაკავების ორდერის გაცემა მოითხოვოს



როგორც ცნობილია, ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორ ფატუ ბენსუდას მოთხოვნა 2008 წლის ომის გარემოებების გამოძიების შესახებ.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელიც ჰააგის სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. პროკურორი ამბობს, რომ გამოძიება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი იქნება:

– საქმის წინასწარი პალატის მიერ გაკეთებული დასკვნა წინასწარია და ემსახურება იმის დადგენას, გამართლებულია თუ არა გამოძიების დაწყება. ეს გადაწყვეტილება არ გულისხმობს რაიმე დასკვნას კონკრეტულ პირთა დანაშაულის ან უდანაშაულობის შესახებ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოპოვებული მტკიცებულებები მოგვცემს გონივრულ საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ პირი პასუხისმგებელია სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ არსებული სისხლის სამართლის დანაშაულებზე, მე მოსამართლეებს დაკავების ან დაკითხვაზე დაბარების ორდერის გასაცემად მივმართავ.

ოფისის გამომძიებლები შეაგროვებენ აუცილებელ მტკიცებულებებს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად, სხვადასხვა წყაროდან. გამოძიება გაგრძელდება ყველა საჭირო მტკიცებულების შეგროვებამდე. პროკურატურას გამოძიების ფარგლებში ყველა მხარის სრული მხარდაჭერისა და თანამშრომლობის იმედი აქვს.

გარკვეულ დრომდე როგორც საქართველოს, ისე რუსეთის კომპეტენტური ხელისუფლებები ჩართულები იყვნენ გამოძიებაში მათ წინააღმდეგ, ვინც, სავარაუდოდ, ყველაზე მეტად იყო პასუხისმგებელი ზოგიერთ გამოვლენილ დანაშაულზე. ამ საგამოძიებო მოქმედებებში, თანმხლები პრობლემებისა და შეყოვნებების მიუხედავად, პროგრესი შეიმჩნეოდა. თუმცა გასული წლის მარტში საქართველოში შესაბამისი ნაციონალური პროცედურები გაურკვეველი ვადით შეჩერდა. ჩვენი ოფისი განაგრძობს ანალოგიური პროცედურის მონიტორინგს რუსეთში, სადაც, ოფისის ინფორმაციით, ეს პროცესი გრძელდება, – ნათქვამია ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის განცხადებაში. (რეპორტიორი)

# ბანკების მევალეები სასამართლოს გზით თანხის დაბრუნებას შეძლებენ

## რა კატეგორიას შეეხება ეს და რას ამბობენ პარლამენტში



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



ადგილობრივი თვითმმართველობის სპეციალისტმა, დავით ზარდიაშვილმა, სოციალურ ქსელში ასეთი რამ დაწერა: „ლარის დოლართან მიმართებაში გაუფასურებამ ძალიან დიდი ცვლილებები გამოიწვია როგორც ქვეყანაში, ასევე მოსახლეობის პირად საქმეებში. გააზიარეთ ეს ინფორმაცია, რათა ვეღარ ისარგებლონ არსებული რთული ვითარებით ბანკებმა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლში შავით თეთრზე წერია: ფულადი ვალდებულების გადახდა, ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას, თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა, ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია, გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის. ეს ნიშნავს, რომ ბანკი, რომელიც უცხოურ ვალუტას გაასესხებს, თავად იღებს პასუხისმგებლობას კურსის ცვლილების გამო გამოწვეულ ყველა რისკზე, ხოლო მოვალე დარჩენილ ვალს იხდის იმ კურსით, რაც გასესხების დროს არსებობდა! არგუმენტი, რომ დოლარის გასესხების შემთხვევაში დოლარი უნდა დაბრუნდეს, მხედველობაში არ მიიღება, რადგან „ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება არის ლარი. ე.ი. მნიშვნელობა არა აქვს, ლარი მაქვს ნასესხები თუ დოლარი, რადგან ვალი ლარით უნდა გადავიხადო!

ესეც რომ არა, 389-ე მუხლის თანახმად, დოლარიც რომ მქონდეს დასაბრუნებელი, ბანკი ვალდებულია, დოლარზე ლარის კონვერტაცია იმ კურსით აწარმოოს, რაც დოლარის გასესხებისას არსებობდა! სამართალი უხეშად ირღვევა, როცა ბანკებს დოლარში (ან სხვა უცხოურ ვალუტაში) ვალი მიაქვთ არა იმ კურსით, რითაც გაასესხეს, არამედ ვალის გადახდის დროს გაზრდილი კურსით! მნიშვნელობა არა აქვს, რა წერია სასესხო ხელშეკრულებაში, რადგან ყველა გარიგება, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება, ბათილია! რატომ არ ვიღებთ ხმას? როდემდე უნდა გვატყავონ ბანკებმა?

ბანკების ასეთ ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას მთავრობა ვერაფერს უპირისპირებს. ძალა ხალხშია! მოგიწოდებთ, გავერთიანდეთ ბანკების ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ! მოვითხოვოთ ლარის კურსის დაცემის გამო ბანკების მიერ მოვალეებისგან უკანონოდ წაღებული ფულის უკან დაბრუნება! სამართალი და კანონი ჩვენს მხარეზეა!“ – წერს ზარდიაშვილი.

განხორციელებადია თუ არა ის, რასაც ზარდიაშვილი ამბობს და თუ განხორციელებადია, რატომ არ აცნობა ამ მუხლის შესახებ ხელისუფლებამ ბანკების ვალებით გაწამებულ ხალხს?

**„ალიას“ ექსპერტი, ლია ელიავა ესაუბრა:**

– ინტერნეტმედიასაშუალებებში ძალიან დიდი მსჯელობა მიდის ამ საკითხთან მიმართებაში. კანონში ცხადად წერია, რომ საკურსო სხვაობის გადაცვლა უნდა ხდებოდეს ვალდებულების წარმოშობის დღის შესაბამისად, მაგრამ იურისტებს ყოველთვის უყვართ გართულება, მათი ნაწილი ამბობს, რომ არსებობს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის გადაწყვეტილება, განმარტება, სადაც საუბარია, რომ ეს ნორმა უნდა გამოიყენებოდეს ეროვნული ვალუტის ცვლილებისას ჰიპერინფლაციის დროს და ა.შ. არ ვიცი, ამ განმარტებას რამდენად სერიოზული იურიდიული საფუძველი აქვს, მაგრამ მე ვიცი, რომ ეკონომიკურად ნამდვილად არანაირი საფუძველი არ გააჩნია. იურისტების მოსაზრება არსებობს იმის თაობაზეც, რომ ვალდებულების დადგომას სესხის მიხედვით, ზოგი თვლის მორიგი გადახდის დადგომის თარიღს, მაგრამ მე ამაშიც ეჭვი მეპარება იმიტომ, რომ შენ ვალდებულება წარმოგექმნა საკრედიტო ხელშეკრულებით და ამ ხელშეკრულებაში გაწერილი არის შენი გადახდის გრაფიკი. შესაბამისად, აშკარაა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არის ნორმა 389-ე მუხლი, რომელიც სისტემატურად ირღვევა.

**— უფრო გასაგები რომ გახდეს, დავაკონკრეტოთ, რა შემთხვევებში ირღვევა?**

– ირღვევა მაშინ, როდესაც საკრედიტო დაწესებულება გასცემს სესხს უცხოურ ვალუტაში და მერე კლიენტს სთხოვს უცხოური ვალუტის მაგივრად სესხის ლარში დაბრუნებას. აი, ამ შემთხვევაში ლარში გადაცვლილი გადასახადი უნდა იყოს მიბმული ხელშეკრულების დადების დღისთვის არსებული კურსისთვის. თუ მსესხებელმა დოლარში აღებული სესხი დოლარშივე გადაიხადა, აქ კითხვის ნიშნები არ ჩნდება, მაგრამ კრედიტორი თუ მას მოსთხოვს, გადაიხადოს ლარში, ამ დროს უნდა ხდებოდეს კონვერტაცია ხელშეკრულების დადების დღეს არსებული კურსით. საუბარია ოფიციალურ გაცვლით კურსზე, რომელსაც ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი. ამ ნორმის გამოყენება ძალიან სერიოზული სამსჯელოა როგორც იურისტების, ეკონომისტების მხრიდან, თუმცა ფაქტი ერთია, რომ ეს ნორმა არსებობს სამოქალაქო კოდექსში, რომელიც პრაქტიკულად, არ მუშაობს.

> **„მე გეტყვით მუხლს, რომლის მიხედვითაც ამის მიღწევა არის შესაძლებელი, ეს არის 385-ე მუხლი სამოქალაქო კოდექსში, რომელსაც ჰქვია „ვალდებულების გარეშე გადახდილის გამოთხოვის წესი“, იქ წერია რომ, ის, რაც გადახდილია ხელშეკრულების გარეშე, შესაძლოა, უსაფუძვლო გამდიდრების წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვნილი“**

**— ახლა მე რომ ბანკში შესატანი შევიტანო იმ კურსით, რომელიც იყო მაშინ, როდესაც სესხი გამოვიტანე, ბანკი ხომ მომედავება?**

– გააჩნია, როგორ არის ხელშეკრულება შედგენილი. თუ ხელშეკრულებაში გიწერია, რომ სესხი უნდა გადაიხადო ლარში და კურსი მითითებულია, მაშინ ეს ხელშეკრულება არის სავალდებულო შესასრულებელი, სანამ ამ მუხლს სასამართლოში არ გააუქმებთ. თუ ხელშეკრულება დადებულია, თქვენ უნდა შეასრულოთ ეს ხელშეკრულება და თუ მისი რომელიმე პირობა არ მოგწონთ, შეგიძლიათ, გაასაჩივროთ სასამართლოში. და თუ კვალიფიციურ იურისტს აიყვანთ, რომელიც კარგად ერკვევა ფინანსებსა და ეკონომიკაში, აუცილებლად მოიგებთ ამ საქმეს და გაგიუქმებთ იმ ნორმას, რომლის თანახმადაც ვალდებული ხართ, ლარის ოდენობა მიმდინარე კურსის მოცულობით გადაიხადოთ.

**— მე რომ სარჩელი სასამართლოში შევიტანო ამ მუხლის თანახმად, საქმეს მოვიგებ?**

– რაც ბანკთან ხელშეკრულებაში გიწერიათ, იმაზე მეტს თუ გახდევინებენ, თქვენ ამ თანხას სასამართლოს გზით დაიბრუნებთ. მე გეტყვით მუხლს, რომლის მიხედვითაც ამის მიღწევა არის შესაძლებელი, ეს არის 385-ე მუხლი სამოქალაქო კოდექსში, რომელსაც ჰქვია „ვალდებულების გარეშე გადახდილის გამოთხოვის წესი“, იქ წერია რომ, ის, რაც გადახდილია ხელშეკრულების გარეშე, შესაძლოა, უსაფუძვლო გამდიდრების წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვნილი. ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, არის ბათილი. ასე რომ, თუ თქვენ გაქვთ გადახდილი მეტი, იურისტის გარეშე არ წახვიდეთ სასამართლოში, გაიარეთ კონსულტაცია და თქვენ შეძლებთ ამ თანხის დაბრუნებას.

რატომ არ ჩააყენა კანონში ამ მუხლის არსებობის შესახებ საკანონმდებლო ორგანომ მოსახლეობა ამ ხნის განმავლობაში და რას აპირებენ მას მერე, რაც ეს საკითხი გახმაურდა?

ამის გასარკვევად, „ალია“ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, **ნოდარ ებანოიძეს** დაუკავშირდა:

„ეს არ არის მარტივი თემა, არსებობს ხელშეკრულებები, რომელიც არეგულირებს ამ საკითხებს. ადამიანს თუ დოლარში აქვს აღებული სესხი, მოლაპარაკება ხდება დოლარზე და უკან ბრუნდება დოლარშივე. თუ ლარში აქვს აღებული, იხდის ლარშივე, თუ რეფინანსირების განაკვეთზე უწერია ხელშეკრულებაში და 8000 ადამიანია ასეთი, იმათ გაუძვირდათ, რადგან ამ განაკვეთზე იყვნენ მიბმულები. დანარჩენ 70%-ს კი დოლარში აქვს აღებული. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არ არის მარტივი თემა. სად გახდა განხილვის საგანი? მედიასაშუალებებს შეუძლიათ ბომბად აქციონ ეს თემა, მაგრამ ეს ხომ ასე არ არის? ვისაც დოლარში აქვს სესხი, რა შეიცვალა მათთვის?“, – გვითხრა ნოდარ ებანოიძემ.

## „ნაციონალური მოძრაობა“ თბილისის მერიას გზების უხარისხოდ დაგებაში ადანაშაულებს



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა სევდია უგრეხელიძემ ჟვანიას მოედანზე გამავალი წყალსადენის მაგისტრალის ავარიულად დაზიანების თაობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ აღნიშნული შემთხვევა საგზაო სამუშაოების უხარისხოდ შესრულებამ გამოიწვია.

დეპუტატმა თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დედაქალაქის მერიამ გზის საფარი მიწისქვეშა კომუნიკაციის გამოცვლის გარეშე დააგო, რამაც, შესაძლოა, მსგავსი შემთხვევები თბილისის სხვადასხვა უბნებშიც გამოიწვიოს.

– გაგარინის ქუჩის გარდა, იგივე მოსალოდნელია იუსტიციის სახლთან, თამარ მეფის გამზირზე და ასე შემდეგ, სადაც უხარისხოდ იგება გზები. ეს არის გაფლანგული მილიონები, ეს არის ადამიანების ნერვები, საცობები, სამსახურში დაგვიანება და ასე შემდეგ. მერია კი ჯიუტად უარყოფს, რომ უხარისხო გზებს აგებს, – ამბობს სევდია უგრეხელიძე. (ნიუპოსტი)

## „ჩემი სახელით რაღაც დაუპოსტავთ ელისაშვილის გვერდზე... არ არის ჩემი“ — მანანა კობახიძე



პარლამენტის ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის ოფიციალურ გვერდზე მიმართვა ვრცელდება. კობახიძე ალეკო ელისაშვილის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან კავშირს უარყოფს და აცხადებს, რომ კომენტარი, რომლის „სქრინიც“ ალეკო ელისაშვილმა გაავრცელა, მას არ ეკუთვნის

– კოლეგებო, ჩემი სახელით რაღაც დაუპოსტავთ ელისაშვილის გვერდზე, ვაცხადებ, ეს არ არის ჩემი და თუ რაიმე საეჭვო მიიღეთ პირადში ან საჯაროდ ჩემი სახელით, ეს არ იქნება ჩემგან გამოგზავნილი! – წერს მანანა კობახიძე. (ნიუპოსტი)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

# მისტიკა პუშკინის ცხოვრებაში — ცრუმორწმუნე ადამიანად მიიჩნეოდა და მკითხავებსაც ხშირად აკითხავდა...





ცნობილ ადამიანებს სჯერათ მისტიკისა და საიდუმლო ცოდნის, ხშირად იმდენად, რომ მათი რწმენა ნამუშევრებსაც ეტყობა ხოლმე. პუშკინიც ერთ-ერთი მათგანი იყო. პოეტის ცხოვრებაში ბევრი უჩვეულო შემთხვევა მოხდა, მათ შორის მისი ტრაგიკული სიკვდილი, რომელიც დიდი ხნით ადრე იწინასწარმეტყველეს.

პუშკინი ცრუმორწმუნე ადამიანად მიიჩნეოდა და მკითხავებსაც ხშირად აკითხავდა. ოდესაში ყოფნისას ის ბერძენ წინასწარმეტყველს შეხვდა, რომელმაც მთვარიანი ღამით ღია მინდორში გაიყვანა და უთხრა, რომ ან ცხენი მოკლავდა, ან თეთრთმიანი, თეთრსამოსიანი და თეთრცხენიანი ადამიანი.

შეხვედრის შემდეგ პუშკინი მეგობრებს უყვებოდა, რომ ყოველ ნაბიჯს სიფრთხილით დგამდა და ყველა მხრიდან საფრთხეს ელოდა. ბერძენი არ შემცდარა, დანტესი, რომელმაც პოეტი მოკლა, ქაღარა იყო, თეთრი მუნდირი ეცვა და თეთრ ცხენზე იჯდა...

ერთხელ ლიცეუმის დამთავრების შემდეგ პუშკინი თავის დასთან, ოლგასთან მივიდა და ხელის გულზე მკითხაობა სთხოვა. ოლგა ქირომანტიით სერიოზულად იყო გატაცებული და როგორც კი ძმის ხელს დახედა, ცრემლიანი ხმით უთხრა:

„ალექსანდრე, რატომ მაიძულებ, ის გითხრა, რისი გაფიქრებაც კი არ მინდა?! ახალგაზრდა ასაკში ძალადობრივი სიკვდილი გელის“...

ნაადრევი სიკვდილი თითქოს მისი ბედი იყო და შეიძლებოდა თუ არა ამ ბედის შეცვლა?

1817 წლის ზამთარში მთელ ევროპაში ცნობილი გერმანელი მკითხავი კირჰგოფი პეტერბურგს სტუმრობდა. ბუნებრივია, მის სახლთან მომავლის გაგების მსურველთა დიდი რიგი იდგა, მათ შორის იყო ალექსანდრე პუშკინიც.

კირჰგოფმა პუშკინის დანახვისთანავე შეჰყვირა:

„ო, ეს საჭირო თავია! თქვენ უბრალო ადამიანი არ ხართ, ცნობილი გახდებით!“ მკითხავმა ისიც უთხრა, რომ უახლოეს მომავალში ფულს მიიღებდა. სახლში დაბრუნებულ პუშკინს მაგიდაზე კონვერტი დახვდა, რომელშიც ბანქოში მოგებული ფული იდო.

გერმანელმა მკითხავმა პუშკინს უთხრა ისიც, რომ ფრიად მიმზიდველ სამსახურებრივ წინადადებას მიიღებდა. რამდენიმე დღის შემდეგ, პუშკინს თეატრში გენერალი ორლოვი შეხვდა, რომელმაც ჰუსართა არმიის მხედართა გვარდიაში შესვლა შესთავაზა.

გერმანელმა წინასწარმეტყველმა პოეტი გააფრთხილა, რომ ორჯერ გადაასახლებდნენ. მისი ბოლო გაფრთხილება კი ასე ჟღერდა:

„შეიძლება დიდხანსაც იცოცხლო, მაგრამ 37 წლის ასაკში თეთრთმიან, თეთრსამოსიან და თეთრცხენიან ადამიანს ერიდე“...

გამოდის, პოეტი რომ უფრო ფრთხილად ყოფილიყო, შეიძლება დიდხანსაც ეცოცხლა...

პუშკინის თანამედროვეების თქმით, ის მთელი ძალით ცდილობდა ცუდი წინასწარმეტყველებისგან თავის დაცვას. მასონთა ლოჟაში შესვლის შემდეგ გაარკვია, რომ იქ ერთ-ერთი კაცის სახელი ითარგმნებოდა როგორც „თეთრი თავი“, ამიტომ უარი თქვა ლოჟის წევრობაზე. ასევე, უარი თქვა პოლონეთში საბრძოლველად გამგზავრებაზე, რადგან გაიგო, რომ ერთ-ერთ ხელმძღვანელს, რომელთან ერთადაც უნდა ებრძოლა, ვეისკოპფი ერქვა, რაც „თეთრ თავს“ ნიშნავს...

პოეტმა გადასახლებაში ყოფნისას გაიგო იმპერატორ ალექსანდრე პირველის გარდაცვალების შესახებ და გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ წასულიყო პეტერბურგში, იქ კი მეგობარ პოეტთან, რილეევთან გაჩერებულიყო. უბრძანა, რომ ეტლი მოემზადებინათ, თავად კი მეზობლებთან დასამშვიდობებლად წავიდა. გზად კურდღელმა გადაურბინა. უკანა გზაზე კი, კიდევ ერთმა გადაუჭრა გზა (იმ დროს გზაზე კურდღლის გადარბენა ცუდ ნიშნად მიიჩნეოდა). მოულოდნელად მსახური ცხელებით დაავადდა და ბოლოს და ბოლოს, როცა მოხერხდა გაჭიანურებული მგზავრობის დაგეგმვა და გამგზავრებას აპირებდა, სახლიდან გასულს მღვდელი შემოეყარა (სასულიერო პირთან მოულოდნელი შეხვედრაც ცუდ ნიშნად ითვლებოდა), აი, მაშინ კი ცრუმორწმუნე პოეტმა გადაწყვიტა, აღარ გამგზავრებულიყო. როგორც აღმოჩნდა, კარგადაც მოიქცა, რადგან იმ სახლში, სადაც წასვლას აპირებდა, დეკაბრისტებმა შეაფარეს თავი. მოგვიანებით, ბევრი მათგანი სენატის მოედანზე ჩამოახრჩვეს, დანარჩენი კი მეფის მოკვლის მცდელობის ბრალდებით ციმბირში გადაასახლეს...

პუშკინის თანამედროვე მიტროპოლიტი ფილარეტი წერდა:

„თუ ნაწინასწარმეტყველევ სიტყვებს, თუნდაც უმნიშვნელო იყოს, სიფრთხილით მოვეკიდებით, არაფერი მოხდება. ხოლო თუ უგულებელვყოფთ, აუცილებლად ახდება და დანაშაულსა და ცოდვას მოიტანს“.

პოეტის ცხოვრებაში საბედისწერო დამთხვევები მართლაც ძალიან ბევრი იყო. ასე მაგალითად:

მოსკოველმა მეცნიერმა გლაზუნოვმა პოეტის ცხოვრებაში რიცხვ 666-ის საბედისწერო მნიშვნელობა გამოიკვლია. გერმანელი წინასწარმეტყველი პეტერბურგში 1818 წელს ჩავიდა (6+6+6+6+6+6), თანაც იმ დროს პუშკინი 18 წლის იყო (6+6+6). სიკვდილს კი ის 36 საათი ებრძოდა.

გადასახლებაში 6 მაისს გაუშვეს, მიგრაციაში 6 წელი გაატარა, ნატალია გონჩაროვასთან ნიშნობა 6 მაისს ჰქონდა, ქორწინებაშიც 6 წელი გაატარა. ჯვრისწერის თვითმხილველების თქმით, რიტუალის დროსაც ბევრი არასასიამოვნო ნიშნის მოწმე გახდნენ. მაგალითად, ანალოღიიდან ჯვარი და ევანგელე ძირს ჩამოვარდა, როცა პუშკინი პატარძალთან ერთად ეკლესიაში წრეზე დადიოდა, სანთლები ჩაქრა. უცნაურია, რომ პუშკინისთანა ცრუმორწმუნემ საერთოდ არ ჩაშალა ქორწილი.

ბევრი მისტიკური მოვლენა უკავშირდება პოეტის ოქროს ბეჭედსაც, რომელსაც რვაკუთხედის ფორმის თვალი ჰქონდა და რომელიც ოდესაში გრაფინია ელიზაბეტა ვორონცოვამ აჩუქა. ვორონცოვასთან კი პოეტს მხურვალე რომანი ჰქონდა. იმასაც ამბობდნენ, რომ გოგონა სოფი, პუშკინის შვილი იყო და არა ელიზაბეტას კანონიერი მეუღლის, გრაფ ვორონცოვის.

მეგობრების თქმით, პუშკინს სჯეროდა ბეჭდის სასწაულებრივი ძალის. მეტიც, მის შემოქმედებით წარმატებას ბეჭდის დამსახურებად მიიჩნევდა. სიკვდილის წინ პოეტმა ბეჭედი ჟუკოვსკის აჩუქა, შემდეგ ტოლსტოის გადაეცა, შემდეგ ტურგენევს, ბოლოს კი მუზეუმში ინახებოდა, საიდანაც მოიპარეს.

საბედისწერო დუელამდე რამდენიმე ხნით ადრე პუშკინმა მეგობარ დანზასს ფირუზისთვლიანი ბეჭედი აჩუქა და უთხრა, რომ ეს იქნებოდა მისი თილისმა, რომელიც ძალადობრივი სიკვდილისგან დაიცავდა. დანზასმა საჩუქრის შენახვა ვერ მოახერხა, ბეჭედი უკვალოდ გაქრა.

დაბოლოს, „ევგენი ონეგინში“ პოეტმა თითქოს საკუთარი სიკვდილი იწინასწარმეტყველა. მთავარი პერსონაჟი გარეგნულად მას ჰგავს, ქალის გამო დუელში კვდება და სწორედ ისე ასრულებს სიცოცხლეს, როგორც თავად ავტორი.

ამდენი წინასწარმეტყველების მოსმენის შემდეგ, გასაკვირიც აღარ არის, რომ პოეტი მისტიკის გავლენის ქვეშ იყო და საკუთარი აღსასრულიც ცხადად ჰქონდა წარმოდგენილი.

*repin.info*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## აჩქარებული გულისცემა ყავის ბრალი არ ყოფილა



გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ აღმოჩნდა, რომ კოფეინი გულის დაავადებების განვითარებას ხელს სულაც არ უწყობს.

მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ დროა, ექიმებმა ყავასთან დაკავშირებით თავიანთ უარყოფით შეხედულებებზე უარი თქვან.

მეცნიერები 1388 ადამიანს აკვირდებოდნენ, მათ შორის 840 ყოველდღე კოფეინის შემცველ პროდუქტს იღებდა. შედეგად კი ასეთი დასკვნა მიიღეს:

„ყავის რეგულარული მიღება ამცირებს მეორე ტიპის დიაბეტისა და გულის დაავადებების განვითარებას. ამცირებს ჭარბწონიანობისა და დეპრესიის რისკს. ყავის მოყვარულებს კორონარული დაავადებებისა და სიკვდილიანობის გაცილებით დაბალი მაჩვენებელი აქვთ“, – წერენ კვლევის ავტორები.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ემბრიონი თმებით და კბილებით — ექიმებმა 18 წლის ბიჭის მუცელში სასწაული ნახეს



18 წლის ინდოელი მოზარდი საავადმყოფოში მუცლის ტკივილის გამო მიიყვანეს. გამოკვლევების პასუხებმა ექიმები გააოგნა. ინდოელი ბიჭის მუცლის არეში ექიმებმა მისი ტყუპისცალი ძმის ემბრიონს მიაგნეს. 2.5 კგ-იანი ძვლოვანი სხეული თმებით და კბილებით ახალგაზრდა ორგანიზმში 18 წლის მანძილზე ცხოვრობდა. ეს უიშვიათესი შემთხვევაა და სულ 200-ჯერ არის დაფიქსირებული, ეს ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ ინდოელი ბიჭის ტყუპისცალი გვიან, მის მუცელში ჩამოყალიბდა.

*newposts.ge.*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ზიმბაბვეში ბავშვების ქორწინება აიკრძალა



20 იანვარს ზიმბაბვეს საკონსტიტუციო სასამართლომ 18 წლამდე მოზარდების ქორწინება აკრძალა. გადაწყვეტილება გენდერული თანასწორობის დაცვის და სიღარიბის დაძლევის კამპანიის გზაზე ერთ-ერთი დიდი გამარჯვებაა.

ეროვნულმა საკონსტიტუციო სასამართლომ ახალი კანონი მას შემდეგ შეიმუშავა, რაც ორმა ქალმა, ლავნეს მუძურუმ და რუვიმბო ცოფოძიმ, ბავშვების ქორწინების აკრძალვა მოითხოვეს. ქალბატონებმა განაცხადეს, რომ ადრეულ ასაკში იძულებითმა ქორწინებამ მათ განათლების უფლება წაართვა და ისინი, როგორც მილიონობით სხვა გოგონა, სიღარიბის მსხვერპლად აქცია.

ამჟამად, ზიმბაბვეში ახალგაზრდების 21 პროცენტი აღიარებს 18 წლამდე იძულებით ქორწინებაში ყოფნას. მათ შორის, უმრავლესობა გოგონაა. აფრიკის კონტინენტზე ყოველწლიურად 14 მილიონი არასრულწლოვანი გოგონა ქორწინდება.

*goodnews.on.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ამბავი, რომელმაც ამერიკულ სოცმედიაში ყველა რეკორდი მოხსნა



საღამოხანს ასაკოვანი ფლორიდელი ფერმერი ბაღში ხილის საკრეფად წავიდა.

უეცრად მან ახალგაზრდა გოგონების სიცილის ხმა გაიგონა. აღმოჩნდა, რომ ბაღთან მდებარე პატარა წყალსაცავში ორი შიშველი გოგონა დაუკითხავად ცურავდა. მამაკაცის დანახვამ გოგონები შეაშინა და მათ წყალსაცავის პატრონს ასეთი სიტყვებით მიმართეს:

„სანამ თქვენ ამ ადგილს არ მოსცილდებით, აქედან არ ამოვალთ – შიშვლები ვართ“.

გონებამახვილი ფერმერი რამდენიმე წამით ჩაფიქრდა და ახალგაზრდებს უპასუხა:

„მე აქ არც თქვენს გასაგდებად მოვსულვარ და არც თქვენს სათვალთვალოდ. უბრალოდ, ჩემს ალიგატორს საჭმელი მოვუტანე და მინდა წყალში ჩავუყარო“.

რა შედეგი მოჰყვა ფერმერის სიტყვებს, თავად მიხვდებით...

*newposts.ge*

სანქტერესო ამბები... სანქტერესო ამბები... სანქტერესო ამბები... სანქტერესო სანქტერესო ამბები... სანქტერესო სანქტერესო ამბები... სანქტერესო ამბები... სანქტერესო ამბები... სანქტერესო ამბები... სანქტერესო სანქტერესო ამბები...

## საჩუქრები, რომელთა არც ჩუქება შეიძლება და არც მიღება



საჩუქარი კეთილი გულითა და განზრახვითაც რომ მოგართვან, შეიძლება მაინც უარყოფითად იყოს დამუხტული.

გაიგეთ, რომელი საჩუქრები არ უნდა მიიღოთ და არც თავად აჩუქოთ არავის.

საათი – მიჩნეულია, რომ თქვენი უდარდელი და ბედნიერი ცხოვრების შეჩერება შეუძლია. ამიტომ, როგორც კი საათს მოგართმევენ, აუცილებლად დაუბრუნეთ ხურდა ფული.

მაკრატელი – მართალია, იშვიათი საჩუქარია, მაგრამ, თუ გაჩუქეს, გადააგდეთ და მჩუქებლის წასვლის შემდეგ სახლიც გაასუფთავეთ. მაკრატლის ჩუქებით, ადამიანს სურს, სამყაროსგან მოგკვეთოთ, შეგიმციროთ სიცოცხლე.

დანა – ასეთი საჩუქარის მჩუქებელი თქვენს დანაშაულში ჩათრევას (შეიძლება გაუთვითცნობიერებლად) ცდილობს. აუცილებლად დაუბრუნეთ ხურდა.

სარკე – განსაკუთრებით საშიშია ძველებური სარკეების ჩუქება. მათზე გაწმენდის რიტუალებიც აღარ მოქმედებს. ის გაცლით სიხარულს, ახალგაზრდობას, სილამაზეს. ასეთი საჩუქარი, უმჯობესია, საერთოდ არ მიიღოთ. ხოლო, თუ მიიღეთ, სასწრაფოდ განთავისუფლდით მისგან.

ქამარი – მჩუქებელს თქვენი ჩაკეტვა, წარმატებების შემცირება სურს. თუ ქამარს ატარებთ, სასწრაფოდ მოიხსენით, ის წარმატების მიღწევაში გიშლით ხელს. თუ მისი გადაგდება გენანებათ, აანთეთ 3 საეკლესიო სანთელი და 12-ჯერ წაიკითხეთ ლოცვა.

ხელთათმანი – ამგვარი საჩუქრით, მჩუქებელს სურს, თავისი გავლენის ქვეშ მოგაციოთ. საჩუქარი „გამოისყიდეთ“ მონეტით. ან უკეთესია, შინ ეწვიოთ და ნაჩუქარი ხელთათმანი მასთან „დაგრჩეთ“.

საფულე – სანამ გამოართმევთ, მჩუქებელს სთხოვეთ, საფულეში მონეტა ჩაგიდოთ. ცარიელი საფულე ვალებს აგკიდებთ.

ჯვარი – საშიში საჩუქარია და თუ მჩუქებლის კეთილ განზრახვაში დარწმუნებული არ ხართ, ნუ მიიღებთ. თუ მჩუქებელი მდიდარი და წარმატებული ადამიანია, შეიძლება მას აქვს სურვილი თქვენც მისნაირი გახდეთ, მაგრამ თუ წარუმატებელი და პრობლემურია, ჯვრის აღებით მის ბედსაც იზიარებთ. ამ საჩუქრის შემთხვევაში მონეტა ვერ გიშველით. უმჯობესია, ჯვარი გაყიდოთ და მჩუქებელს საჩუქარი მიართვათ, ან აღებული ფული გაჭირვებულ მოხუცებსა და უპატრონო ბავშვებს დაურიგოთ.

*astrologi.ge*

## 1 დღით საკვებზე უარის თქმა ორგანიზმს 3 თვით აახალგაზრდავებს!



ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში, ბიოლოგიის წიგნებიდან გვასწავლიდნენ, რომ საკვები მსხვილ ნაწლავში გასვლას 2 დღეს ანდომებს. ამიტომ ჭამისგან ერთდღიანი თავშეკავებით ორგანიზმს არ ავნებთ.

– შიმშილობის შემდეგ დღეს საკუთარი თავის სარკეში დანახვისას ნასიამოვნები დარჩებით. კანი უფრო გლუვი და ნათელი გახდება, შეშუპებასა და თვალების ქვემოთ პატარა ბალიშების არსებობის შესახებ დაივიწყებთ.

– მსხვილი ნაწლავი ნარჩენებისგან მთლიანად გაიწმინდება. საჭმლის მომნელებელი ტრაქტი საათივით ამუშავდება.

– როდესაც სასწორზე დადგებით, არ გაგიკვირდეთ, -1 კგ გარანტირებულია. მთავარია, შეეცადოთ, რომ დაკარგული წონა მეორე დღეს მთლიანად არ აინაზღაუროთ.

– ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესს დაარეგულირებთ. გარდა ამისა, ერთი დღით ჭამაზე უარის თქმა ხელს უწყობს ზრდის ჰორმონის გამომუშავებას, რომელიც მოზრდილ ადამიანებში კუნთოვანი მასის ზრდას, ძვლების გამაგრებასა და ცხიმების წვას განაპირობებს.

– გაგიაქტიურდებათ ტვინის მუშაობა, ახალი გადაწყვეტილებების მიღებისა და არასტანდარტული სიტუაციებიდან გამოსავლის მონახვისთვის მის სტიმულირებას შეძლებთ.

– ორგანიზმს სხვადასხვა დაავადებასთან ბრძოლაში დაეხმარებით. შიმშილი გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და ათეროსკლეროზის რისკს საგრძნობლად ამცირებს. გარდა ამისა, შიმშილი ორგანიზმის იმუნური სისტემის მობილიზებას განაპირობებს.

– რაც ყველაზე მთავარია, საკვებისკენ ფსიქოლოგიურ მიდრეკილებას მოიშორებთ.

კვირაში 1 დღე საჭმლის გარეშე – არც ისე რთული მისიაა, რომელიც თქვენს ორგანიზმს დიდ სარგებელს მოუტანს.

*fpaparazzi.com*

სანქტერესო ამბები... სანქტერესო ამბები... სანქტერესო ამბები... სანქტერესო სანქტერესო სანქტერესო ამბები...

## მეზობლებს ძალადობის მსხვერპლი ეგონათ, თურმე...



იქნება ჩემს სახლში ტრუსიკით მინდა გავლა, ან მასწავლებლის ფული არ მაქვს და ვოკალში ვვარჯიშობ, კი თქვა ერთმა ამსტერდამელმა, მაგრამ მისი მეზობლები მეტისმეტად ყურადღებიანი ყოფილან, თანაც ძალადობისადმი ფრიად მძაფრი და უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონიათ.

თურმე, ეს კლასიკური მუსიკის მოყვარული კაცი ზის თავისთვის სახლში, ყურსასმენებით საოპერო არიებს უსმენს და აყოლას ცდილობს. თავად კი ეგონა, რომ შოკისმომგვრელი ხმით მინებს ამსხვრევდა, მაგრამ მეზობელი სხვანაირად ფიქრობდა. არამკითხე მეზობელმა მიიჩნია, რომ ამ კაცის სახლიდან ისეთი ხმები გამოდის, წყალი არ გაუვა ძალადობასთან მაქვს საქმეო და მაშინვე პოლიციას დაურეკა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამაც გაიგო არაამქვეყნიური ხმა და ვინაიდან კარი არავინ გაუღო, კიდევ უფრო დაეჭვებულმა სამართალდამცავებმა კარი შეამტვრიეს. სახლში კი მარტო მყოფი, მუსიკის ჰანგებს აყოლილი მამაკაცი დახვდათ.

ინციდენტის მონაწილეები თავიდან გაოგნებული უყურებდნენ ერთმანეთს, მოგვიანებით ყველა გულიანად იცინოდა და მარტოხელა კაცის მუსიკალურ ნიჭს განიხილავდა.

*lenta.ru*

სანქტერესო ამბები... სანქტერესო ამბები... სანქტერესო ამბები... სანქტერესო

## სელფი პირად ცხოვრებას აფუჭებსო, გასაგებია?!



თუ გსურთ პარტნიორი დიდხანს შეინარჩუნოთ, მეტი ყურადღება დაუთმეთ თავად მას და არა სოციალურ ქსელში თქვენს პირად გვერდს. მით უმეტეს, ნუ გადაყვებით ყოველდღიურად 543 სელფის გადაღებას და ყველა ამ ფოტოს თქვენს გვერდზე ატვირთვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტის ან სულაც დაშორების მსხვერპლი გახდებით.

ფლორიდის უნივერსიტეტის სპეციალისტების აზრით, სელფი კონფლიქტის, უთანხმოებისა და დაშორების მიზეზი სულ უფრო ხშირად ხდება.

პირად გვერდზე ფოტოების მუდმივი ცვლა და განთავსება იწვევს იმას, რომ ადამიანს უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, წერენ, სთავაზობენ მეგობრობას და კიდევ ეშმაკმა უწყის რას. უცხო პირთა ჭარბი ყურადღება კი, ბუნებრივია, პარტნიორს აღიზიანებს და ეჭვიანობის საბაბს აძლევს, რაც საბოლოოდ ურთიერთობას აფუჭებს.

*myjane.ru*

სანქტერესო ამბები... სანქტერესო ამბები... სანქტერესო ამბები... სანქტერესო სანქტერესო სანქტერესო ამბები...



## უელსში დაკრძალვაზე შეცდომით... პორნოფილმი გაუშვეს

უელსის დედაქალაქ კარდიფში საიმონ ლუისისა და მისი ვაჟის საიმონ ლუის უმცროსის დაკრძალვის ცერემონიალი მიმდინარეობდა, როცა მოულოდნელად საიმონის ვიდეოს ნაცვლად ეკრანზე პორნოფილმი ჩაირთო. ყველა სიკეთესთან ერთად, ვიდეო ხმამაღლა იყო ჩართული და მთელი 4 წუთი გამორთვა ვერ მოახერხეს.

საიმონ ლუისი ოჯახთან ერთად ავარიაში მოყვა, რის შედეგადაც თავად საიმონი და მისი ვაჟი გარდაიცვალნენ, მეუღლე და გოგონა კი გადარჩნენ.

დაკრძალვას ასზე მეტი სტუმარი ესწრებოდა.

„მღვდელს უნდოდა ის ვიდეო ჩაერთო, რომელიც საიმონის ცხოვრების ფრაგმენტებს ასახავდა, ამის ნაცვლად კი პორნოფილმი ჩაირთო. მღვდელმა ბოდიში მოიხადა და შეძლებისდაგვარად შეეცადა, სიტუაცია ემართა“, – თქვა ერთ-ერთმა სტუმარმა.

უცნაურია, მაგრამ არც ერთ იმ პირს, რომელიც დაკრძალვის ცერემონიალში მონაწილეობდა, არ შეეძლო ეკრანთან დაკავშირება, შესაბამისად, უცნობია, ვისი ხელი ურევია ამ უადგილო ხუმრობაში.

*lenta.ru*

სანქტერესო ამბები... სანქტერესო ამბები... სანქტერესო ამბები... სანქტერესო

## ჩინურმა კომპანიამ პრემიები რეზინის ქალების სახით დაარიგა



როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო, თქვა ერთ-ერთი ჩინური კომპანიის დირექტორმა ვან იუჟუმ და უჩვეულო პრემიები გასცა.

ჩინეთში, ქალაქ გუანჩჟოუში ყოველწლიური საღამო მოეწყო. დირექტორმა თანამშრომლებს განუცხადა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, თავისი თანამშრომლებისთვის რაიმე ახალი გაეკეთებინა, ამიტომ პრემიები საჭიროებისამებრ შეურჩია. რეზინის ქალები მარტოხელა თანამშრომლებისთვის, შლოპანცები გუანჩჟოუს ცხელი და ნოტიო ამინდებში კომფორტული გადაადგილებისთვის და კარაოკეს ბარის ბილეთები გართობის მოყვარულთათვის.

*anekdot-dnya.ru*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძე 593 19-85-99



ორი ლეიტენანტი ქუჩაში მიდის. უცბად ულამაზესსაჯდომიანი გოგონა დაინახეს. გაასწრეს, სახეზე უნდოდათ შეხედვა. შედეგით იმედგაცრუებულებმა გოგონას მიაძახეს:

– გოგონი, სახეც ისეთივე ლამაზი რომ გქონდეთ, როგორც საჯდომი, ძალიან ბევრს გაკოცებდით!

– ეგ არაფერი, იქ მაკოცეთ, რაც უფრო მეტად მოგეწონათ!!!

*****

– აბრამ, გადაწყვეტილება ვერაფრით მივიღე და იქნებ დამეხმარო – ერთ ნათესავს ქორწილი აქვს, მეორეს – დაკრძალვა. რომელზე წავიდეთ?

– დაკრძალვაზე!

– რატომ?

– იმიტომ, რომ იქაც იგივე ამბავია, ოღონდ საჩუქრის მიტანა არ მოგვიწევს.

*****



პატიმარი ცოლს წერილს წერს:

– ძალიან დიდი მადლობა ფუნთუშაში ქლიბის ჩადებისთვის... ახლა მე მთელ საკანში ყველაზე მოვლილი ფრჩხილები მაქვს!..

*****

საბავშვო ბაღიდან კოტემ სახლში სხვისი მანქანა მიიტანა. მამა ეკითხება:

– საიდან ეს მანქანა?

– ა, ესა? ჯუბიკოს გავუცვალე.

– ჯუბიკომ მანქანა მოგცა, შენ რა მიეცი?

– მუშტი ცხვირში...

*****

– შვილო, მე და დედიკოს შენთვის საჩუქარი გვაქვს – შემოდგომაზე ძმა გეყოლება!

– ოოო, ისევ უშვებენ იმ დებილს ციხიდან, არა?!

*****



მუზეუმში ერთმანეთს ორი გეი შეხვდა. ერთი მეორეს:

– იცი, ძვირფასო, ამბობენ, რომ ლეონარდო და ვინჩის მონა ლიზა სინამდვილეში მამაკაცია.

– მართლა? მეც ვუყურებ და ვფიქრობ: თითქოს ქალია, არადა, როგორ მიღიმის...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. დიეგო არმანდო ...
2. რეჟისორი პიერ-პაოლო ...
3. საშხაპე ოთახი
4. სტადიონი ერევანში
5. სულების გამოძახება
6. საოცარი, გახმაურებული ამბავი
7. მისი დედაქალაქია ოსლო
8. მშვიდი განწყობა
9. პოეტი ... კალანდაძე
10. ერთი მსახიობის სპექტაკლი
11. სამშენებლო მასალა
12. ფეხბურთელი ფაბრიციო ...
13. იაპონური ფულის ერთეული
14. ჭამის სურვილი
15. ტარზანის როლში ჯონი ...
16. საეკლესიო წესების კრებული
17. რბილი ლითონი
18. კომპოზიტორი ნიკოლოზ ...
19. ტალანტი
20. სიო
21. ჰოლანდიელი მხატვარი
22. წყლის პირი ტყიანი
23. ომში არმონაწილეობა
24. თითის ანაბეჭდებით კვლევა
25. ზღაპარი „... ქოშები“
26. ძალების აღდგენა
27. ძვ. ქართ. სამედიც. ენციკლოპ.
28. თეატრალური მაკიაჟი
29. წერილობითი საჩივარი
30. ლონდონის ცენტრი
31. საგაზეთო პუბლიკაცია
32. ავღანეთის დედაქალაქი
33. ცხვრების ერთობლიობა
34. ფეთქებადი ნივთიერება
35. მსახიობი ბრედ ...
36. თევზის წვნიანი
37. ინგლისური ლუდი
38. მულტფილმი „მეფე ლომი“ პერსონაჟი
39. მხატვარი ... დალი
40. ცური
41. აბატი ფარიას ციხე
42. იაპონური ჭიდაობა
43. მსახიობი იგორ ...
44. ჭრილობა
45. ქვანახშირის აუზი გრემან.
46. ქალაქი პოლონეთში
47. ლუდის მასალა
48. იუველირი, ანუ ...
49. პორტი საფრანგეთში
50. ცელქი
51. ბრონტე. „ჯეინ ...“
52. აეროპორტი პარიზში
53. თევზი ელექტრული მუხტით
54. მხატვარი კლოდ ...
55. ფიზიკოსი მაქს ...
56. ცხიმის კვალი ქსოვილზე
57. ჯუჯა ჟირაფი
58. 100კგ
59. ... მოგივა დავითაო
60. სამიანი ნარდში
61. ბრტყელი თევზი
62. ქალაქი რუსეთში
63. სამკერდე ნიშანი
64. ფრანგი წინასწარმეტყველი
65. ჭრილი ბანიანი სახლის ჭერში
66. მსახიობი ... აფლეკი
67. მსახიობი ... ტაილერი
68. იუმორისტი ... იზმაილოვი
69. ტბა აშშ-ში
70. კენიის დედაქალაქი
71. ყურძნის დასაწური ჭურჭელი
72. მსახ. ... ჯიგარხანიანი
73. ჰემინგუეი. „... თოვლიანი მთა“
74. კათოლიკე მღვდელი
75. ციმბირის წყლული
76. შარლ პეროს ზღაპარი
77. ქართ. ხალხური ზღაპარი
78. ლურჯი ვეშაპის საკვები
79. ბოსტნეული
80. მორებით შეკრული ტრანსპორტი
81. შტატი აშშ-ში
82. წყლის ორმო ოწინარით
83. ... უდუმაშვილი
84. გულმკერდის ძვალი
85. სახედარი
86. ნიანგის სახეობა
87. „მეხუთე ელემენტი“ იოვოვიჩი
88. ვულკანი ჰავაიზე
89. ყველაზე მაღალი ჩანჩქერი
90. ლატვიის დედაქალაქი
91. აივენჰოს სატრფო
92. ბილიარდის ჯოხი
93. ქუჩის განათება
94. ... ჩიბურდანიძე
95. მსახიობი ერიკ ...
96. არენდა
97. მსახიობი ... აბაშიძე
98. მხ/ფ „... და კლაიდი“
99. ფალიაშვილის ოპერა
100. კალათბურთში ...-აუტი
101. მყარი ცხიმი
102. ფეხბურთელი მიხეილ ...
103. უქორწო თუთიყუში
104. სოფლის მექანიზაცია
105. დღის დასაწყისი
106. ხალიჩა
107. დათვის თათი
108. „თოჯინები იცინიან“ ... წივწივაძე
109. ფრინველი თბილისის ლეგენდიდან
110. მხ/ფ „მაგდანას ...“
111. ღირებულება
112. თხილიანი კანფეტი
113. იტყვიან ჩვილ ბავშვზე
114. მშვილდით სასროლი ჯოხი
115. მსახიობი ... მარსო
116. საოპერო პარტია
117. ... კუზანოვი
118. ბერძ. ანბანის პირველი ასო
119. მოწაფის მაგიდა
120. მხატვარი ... თოიძე
121. ღია მიშენება შენობაზე
122. მსახიობი ... ჰათაუეი
123. ნადირობის ქალღმერთი
124. მამათა დიდი მონასტერი
125. მაგნატი არისტოტელე ...
126. ტბა ლოხ-...
127. კონტინენტი, ანუ ..
128. პიონერული ცეცხლი მინდორში
129. პინგვინების დიდი ჯგუფი
130. მომღერალი ... აგუზაროვა
131. მომღერალი ... მინოუგი
132. თმის წითელი საღებავი
133. მამლის ჯიღა
134. მან ააგო კიდობანი
135. ქმედება ალაბედზე
136. დროის საზომი მექანიზმი
137. ყვავილი
138. ადგილი სანეზე
139. ოპერა „აბესალომ და ...“
140. წყლის ტრანსპორტი

პასუხები: 1. მარადონა; 2. პაზოლინი; 3. აბაზანა; 4. რაზდანი; 5. სპირიტიზმი; 6. სენსაცია; 7. ნორვეგია; 8. იდილია; 9. ანა; 10. ბენეფისი; 11. ებონიტი; 12. რავანელი; 13. იენა; 14. მადა; 15. ვაისმიულერი; 16. ტიპიკონი; 17. კალა; 18. რიმსკი-კორსაკოვი; 19. ნიჭი; 20. ნიავი; 21. რემბრანდტი; 22. ჭალა; 23. ნეიტრალიტეტი; 24. დაქტილოსკოპია; 25. ბაბაჯანას; 26. რელაქსაცია; 27. კარაბადინი; 28. გრიმი; 29. არზა; 30. სიტი; 31. სტატია; 32. ქაბული; 33. ფარა; 34. ამონალი; 35. პიტი; 36. უხა; 37. ელი; 38. სიმბა; 39. სალვადორ; 40. ჯიქანი; 41. იფი; 42. სუმო; 43. ილინსკი; 44. იარა; 45. რური; 46. კრაკოვი; 47. ალაო; 48. ოქრომჭედელი; 49. მარსელი; 50. ანცი; 51. ეარი; 52. ორლი; 53. სკატი; 54. მონე; 55. პლანკი; 56. ლაქა; 57. ოკაპი; 58. ცენტნერი; 59. რაც; 60. სე; 61. კამბალა; 62. ნოვოსიბირსკი; 63. ორდენი; 64. ნოსტრადამუსი; 65. ერდო; 66. ბენ; 67. ლივ; 68. ლეონ; 69. მიჩიგანი; 70. ნაირობი; 71. საწნახელი; 72. არმენ; 73. კილიმანჯაროს; 74. აბატი; 75. ჯილეხი; 76. „კონკია“; 77. „მუჭანახევარა“; 78. პლანქტონი; 79. პრასი; 80. ტივი; 81. მინესოტა; 82. ჭა; 83. ზაალ; 84. ლავიწი; 85. ვირი; 86. ალიგატორი; 87. ლილუ; 88. კილაუეა; 89. ანხელი; 90. რიგა; 91. როენა; 92. კიი; 93. ილუმინაცია; 94. მაია; 95. ბანა; 96. იჯარა; 97. ლეილა; 98. ბონი; 99. „დაისი“; 100. ტაიმ; 101. ქონი; 102. მესხი; 103. არა; 104. ტრაქტორი; 105. დილა; 106. ნოხი; 107. ტორი; 108. სევერიან; 109. ხოხობი; 110. ლურჯა; 111. ფასი; 112. გრილი; 113. ალუა; 114. ისარი; 115. მარსელ; 116. არია; 117. ივა; 118. ალფა; 119. მერხი; 120. მოსე; 121. აივანი; 122. ენ; 123. დიანა; 124. ლავრა; 125. ონასისი; 126. ნესი; 127. მატერიკი; 128. კოცონი; 129. კოლონია; 130. ჟანა; 131. კაილი; 132. ინა; 133. ბიბილო; 134. ნოე; 135. რისკი; 136. საათი; 137. ია; 138. ლოყა; 139. ეთერი; 140. ნავი. იკითხება: დალმატინელები.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მდინარე აჭარაში
2. ცხარე საწებელი
3. ადამიანი-მოაზროვნე, ანუ ...
4. ცისარტყელას ქალღმერთი
5. ბარონის მეუღლე
6. ექიმი. შეისწავლა ჩიყვი
7. კაციჭამია
8. მშვილდით სასროლი ჯოხი
9. ქართ. მინერალ. წყალი
10. ელვის პრესლის სიმღერის ჟანრი
11. ბაში აჩუკის ქუდი
12. ქალაქი ...-ანჯელესი
13. მსახიობი ... ფარელი
14. ხორბლის შეჭამანდი
15. მსახიობი ... კრუზი
16. კამათი
17. მხატვარი კლოდ ...
18. მსახიობი ... ნოვაკი
19. ბალახი. ამზადებენ მწნილს
20. მიწათმოქმედების სპეციალისტი
21. სალათას ...
22. კუდიანი ამფიბია
23. სახელმწიფო აფრიკაში
24. მოჭადრაკე მაია ...
25. ცხენების სარბენი ადგილი
26. საფრანგეთ. ისტორიიდან: ... ღამე
27. პროფესორი ... მეტრეველი
28. სულხან-საბა ...
29. მწერალი ... ბრაუნი
30. მომღერალი ნატო ...
31. ქართ. წარმოების წყლის გამათბობ.
32. სანელებელი
33. მუხის ნაყოფი
34. ქალის სასიმღერო ხმა
35. მსახიობი ... ოლივიე
36. მსახიობი ... ნიუმენი
37. იაზონის გემი
38. კვირის დღე
39. სითხ. წამლავენ ვენახს
40. ჭიდაობის ფანდი
41. რაიმეს ჩამოსასხმელი ფორმა
42. ტყემლის სანელებელი
43. ... კონან დოილი
44. პატარა ტანის ძვირფასბეწვიანი ცხოველი
45. ცხენის რძის სასმელი
46. მანათობელი მწერი
47. ტუალეტის სურნელოვანი წყალი
48. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში
49. მოდელი ... კემპბელი
50. ნარკოტიკული ნივთიერება
51. ვაქცინაცია
52. ნაჭერმოხვეული ჯოხი ცეცხლით
53. სირიის დედაქალაქი
54. რეჟისორი ... სკოტი
55. სატირული მიბაძვა
56. შხამიანი გველი
57. რბილი ავეჯი
58. მომღერალი ... ბრეგვაძე
59. მსახიობი ... ტომპსონი
60. ძვლების დაავადება
61. ჭავჭავაძე. „კაცია ...?!“
62. სამეჯლისო ცეკვა
63. მიწაში დაფლული ფული
64. მსახიობი გოიკო ...
65. ეკლებიანი მცენარე
66. პრეზიდენტი ... ობამა
67. სამშობლოს მონატრება
68. ბერძნული ცეკვა
69. მწნილი
70. დამცინავი ადამიანი, ანუ ...
71. ელ. ტექნიკის იაპონური ფირმა
72. მეცნიერი. შეადგინა მინერალ. ცხრილი
73. სახელმწიფო წყნარ ოკეანეში
74. ქანდაკება პირამიდებთან
75. მსახიობი კოლინ ...
76. მეცნიერება წამლების შესახებ
77. საკონდიტრო ნაწარმი: კარა-მელი გულით
78. ამფითეატრი რომში
79. მისი დედაქალაქია ლისაბონი
80. ... პაიჭაძე
81. მხატვარი ოგიუსტ ...
82. მომღერალი ... პუგაჩოვა
83. ქალაქი იაპონიაში
84. სანელებელი
85. შალის საპალტოე ქსოვილი
86. თრითინა, ანუ ...
87. ... ფონ ბისმარკი
88. ბრედ პიტი ფილმში
89. მცენარე უდაბნოში
90. ქარის მოტანილი თოვლი
91. კარტი, ანუ ...
92. კბილის ექიმი
93. ფინური აბანო
94. ზამბახი
95. მსახიობი ... სტრიპი
96. მსახიობი ... ლიოტა
97. რეჟისორი რობიკო ...
98. მომღერალი ... ოკუჯავა
99. მწერალი ლუიჯი ...
100. ფეხბურთელი ... ანრი
101. მუსიკოსი ... გილელსი
102. რიჩი ფილმში „ჯონი ...“
103. სახელმწ. ჩრდ. ამერიკაში
104. ცურვის სტილი
105. ფიზიკის ნაწილი
106. მეტყველების ექიმი
107. მომღერალი ... სოხაძე
108. ცვარი
109. „პარმის სავანე“ მწერალი
110. მომღერალი ... რამაზოტი
111. მსახიობი ... რურკი
112. მზის სისტემის პლანეტა
113. მწვანილების შეკვრა
114. ... კუზანოვი
115. ქალის პირბადე
116. დიუმა. „დედოფალი ...“
117. მსახიობი კრისტიან ...
118. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი
119. ფილმი „... საგა“
120. ცხენის ნაშიერი
121. ცხენი, ანუ ...
122. იაპონური ფულის ერთეული
123. ფიცი მწამს, ... მაკვირვებს
124. გამოთქმა: ... ბატს არ მიაბარებ
125. ისტორიის მუზა
126. ცხრაკაციანი ანსამბ-ლი
127. ბუიეს რომანი
128. ვერცხლის ათცენტიანი
129. მარჯნის კუნძული
130. შრი-ლანკა ძველად
131. ოქრომჭედელი ძმები ბექა და ბეშქენ ...
132. უძველესი ცივილიზაცია იუკატანის ნახევარკუნძულზე
133. მსახიობი ... მონტანი
134. „იმერული ესკიზები“ მათხოვარი
135. ცხენბურთი
136. მსახიობი ... გიბსონი
137. რეპტილია
138. მეცნიერი ... ვეკუა
139. მაგნიტი
140. უფრთო ფრინველი

პასუხები: 1. ჭოროხი; 2. აჯიკა; 3. ჰომო-საპიენსი; 4. ირიდა; 5. ბარონესა; 6. ბაზედოვი; 7. კანიბალი; 8. ისარი; 9. „ბორჯომი“; 10. როკ-ენ-როლი; 11. ფაფანაკი; 12. ლოს; 13. კოლინ; 14. კორკოტი; 15. ტომ; 16. პოლემიკა; 17. მონე; 18. კიმ; 19. ღანძილი; 20. აგრონომი; 21. ძილი; 22. სალამანდრა; 23. სომალი; 24. ჩიბურდანიძე; 25. იპოდრომი; 26. ბართლომეს; 27. როინ; 28. ორბელიანი; 29. დენ; 30. მეტონიძე; 31. „ატმორი“; 32. დარიჩინი; 33. რკო; 34. ალტი; 35. ლოურენს; 35. პოლ; 37. „არგო“; 38. შაბათი; 39. შაბიამანი; 40. სარმა; 41. ყალიბი; 42. ომბალო; 43. არტურ; 44. სიასამური; 45. კუმისი; 46. ციცინათელა; 47. ოლეკოლონი; 48. კინტო; 49. ნაომი; 50. ოპიუმი; 51. აცრა; 52. მაშხალა; 53. დამასკო; 54. რიდლი; 55. პაროდია; 56. კობრა; 57. დივანი; 58. ნანი; 59. ემა; 60. რაქიტი; 61. ადამიანი; 62. ვალსი; 63. განძი; 64. მიტიჩი; 65. კაქტუსი; 66. ბარაკ; 67. ნოსტალგია; 68. სირტაკი; 69. მარინადი; 70. ცინიკოსი; 71. „პანასონიკი“; 72. მოოსი; 73. სამოა; 74. სფინქსი; 75. ფერტი; 76. ფარმაკოლოგია; 77. კანფეტი; 78. კოლიზეუმი; 79. პორტუგალია; 80. ბორის; 81. რენუარი; 82. ალა; 83. კიოტო; 84. დაფნა; 85. დრაფი; 86. სინდიოფალა; 87. ოტო; 88. „ტროა“; 89. საქსაული; 90. ნამქერი; 91. ბანქო; 92. სტომატოლოგი; 93. საუნა; 94. ირისი; 95. მერილ; 96. რეი; 97. სტურუა; 98. ბულატ; 99. პირანდელო; 100. ტიერი; 101. ემილ; 102. მნემონიკი; 103. კანადა; 104. ბრასი; 105. კინეტიკა; 106. ლოგოპედი; 107. ირმა; 108. ნამი; 109. სტენდალი; 110. ეროს; 111. მიკი; 112. მარსი; 113. კონა; 114. ივა; 115. მანდილი; 116. მარგო; 117. სლეიტერი; 118. ატომი; 119. ბინდი; 120. კვიცი; 121. მერანი; 122. იენა; 123. ბოლო; 124. ორ; 125. კლიო; 126. ნონეტი; 127. „იზა“; 128. დაიმი; 129. ატოლი; 130. ცეილონი; 131. ოპიზრები; 132. მაია; 133. ივ; 134. ოლია; 135. პოლო; 136. მელ; 137. კუ; 138. ილია; 139. ანდამატი; 140. კივი. იკითხება: თუთიყუში.

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## სარეცხი მანქანები მსოფლიო ოკეანეს გამოუსწორებელ ზიანს აყენებს



ირლანდიელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, სარეცხი მანქანები, უფრო ზუსტად კი ბოჭკოების ციცქნა ნაწილაკები, რომლებსაც რეცხვის დროს ქსოვილები გამოყოფს, მსოფლიო ოკეანეს გაცილებით დიდ ზიანს აყენებს, ვიდრე ნაგავი.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ საკითხთან ჩატარებულ კვლევაში ირლანდიელების გარდა, მონაწილეობა მიიღეს კანადელმა, ბრიტანელმა და ავსტრალიელმა ეკოლოგებმა.

ერთობლივი მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ სინთეტიკური ნივთიერებისგან დამზადებული საშუალო ზომის სამოსი სარეცხ მანქანაში მოხვედრის შემდეგ დაახლოებით 1900 ბოჭკოს კარგავს.

სპეციალისტების თქმით, რეცხვის შედეგად, ეს ბოჭკოები დაუბრკოლებლად ხვდება არხებში, საბოლოო ჯამში კი, მსოფლიო ოკეანეს ერევა და დაბინძურების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს.

ეკოლოგები დარწმუნებულები არიან, რომ ნარჩენების აღნიშნული სახეობა საშიშია იმითიც, რომ ზღვის ბინადრებს არ შეუძლიათ ბოჭკოების ნაწილაკების გარჩევა და შედეგად, ტოქსინები მათ კუჭში ხვდება.

– რაც უფრო მცირე ზომისაა ნაწილაკები, მით მეტია ზიანი, – ამბობენ სპეციალისტები.

*itar-tass.com*

## დაფეხმძიმების ერთ-ერთი ხელის შემშლელი მიზეზი სიგამხდრეა?



აფსუს, რა მაგარი იქნებოდა, ადამიანებს ოქროს შუალედის აღმოჩენა რომ შეეძლოთ?! ასეთ შემთხვევაში ხომ უამრავი პრობლემის მოგვარება გახდებოდა შესაძლებელი.

სიმსუქნე რომ დამღუპველია, ბევრჯერ გაგვიგია და სიგამხდრეც რომ არ აძლიერებს და აბედნიერებს ადამიანს, ვფიქრობთ, არც ეს უნდა იყოს საიდუმლო, თუმცა ამ უკანასკნელს დაფეხმძიმების პრობლემის შექმნაც თუ შეეძლო, ალბათ, ბევრმა არ იცოდა.

ამერიკელი მკვლევარები საკმაოდ არასახარბიელო ტენდენციაზე საუბრობენ - გამხდარ ქალებს დაფეხმძიმება ბევრად უჭირთ. სტატისტიკა აშკარად მეტყველებს, რომ უნაყოფობის დიაგნოზს გაცილებით ხშირად სწორედ გამხდრებს უსვამენ ხოლმე.

სხვათა შორის, იგივე სტატისტიკა იმასაც ცხადყოფს, რომ არც ჭარბწონიან ქალებს აქვთ საქმე გადასარევად.

დაფეხმძიმებაში ხელის შემშლელი კიდევ ერთი ფაქტორია მშვენიერ სქესში დიდად პოპულარული ერთმანეთისგან განსხვავებული დიეტები.

ნებისმიერი შეზღუდვა უარყოფითად აისახება ჯანმრთელობაზე, რასაც ორგანიზმში სხვადასხვა ბუნებრივი პროცესების დარღვევა მოსდევს, მათ შორის, რეპროდუქტიულ სისტემაშიც.

*medkarta.com*

## კოშმარული სიზმრები ფსიქიკისთვის... სასარგებლოაო



რასაც ეს ამერიკელები აღარ იტყვიან ხოლმე, თქვენ ის იკითხეთ, თორემ, თავად უკანაც კი არ იხედებიან, ისე გვაკვირვებენ და გვაკვირვებენ.

კონტინენტსგაღმელებმა დაადგინეს, რომ ცუდი და საშიში სიზმრები არათუ უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე, არამედ პირიქით, ფსიქიკაზე დადებითად მოქმედებს.

მოსაზრების ავტორთა თქმით, საშიში და აუხსნელი სიზმრების ნახვის მიზეზი დიდი რაოდენობით ინფორმაცია და ემოცია ხდება.

ყველაზე ხშირად მსგავს უსიამოვნო სურათებს ადამიანი დილით, ე.წ. „სწრაფი ძილის“ ფაზაში ნახულობს. მედიკოსები მიიჩნევენ, რომ ღამის მანძილზე გონება ყველა ნეგატიურ შეგრძნებას ამუშავებს და მათ თავიდან იცილებს. ეს ყველაფერი ილექება და დილაობით ახსენებს თავს ადამიანს, რომელიც გაღვიძების შემდეგ, მზად არის, ახალი ემოციებით დაიტვირთოს.

აქვე იმასაც დავამატებთ, რომ სტატისტიკის მიხედვით, თურმე, ქალები გაცილებით საშინელ კოშმარებს ნახულობენ, ვიდრე მამაკაცები. ამასთანავე, მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა სიზმრები გაცილებით ემოციურია და ამის გამო, ადვილად ხდება მათი ახსნა-გაგება.

– ქალებს ყოველთვის უკეთ ახსოვთ სიზმრები, ვიდრე მამაკაცებს. ისინი უფრო ხშირად საუბრობენ თავიანთ ცხოვრებაზე, ვიდრე მამაკაცები და მეხსიერების გრძნობაც უკეთ აქვთ განვითარებული, – განმარტავენ ამერიკელი სწავლულები.

*tainamira.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**29 იანვარი:** დღეს შესაძლოა, გავლენიან ადამიანებთან კავშირები დაგჭირდეთ. გამოგიჩნდებათ საქმეები, რომლებსაც ამ კავშირებით წარმატებით მოაგვარებთ.

**კურო 22.04-21.05**
**29 იანვარი:** შეიძლება მოვლენებისგან გამოთიშული აღმოჩნდეთ. ეს კარგიც არის, რადგან მხოლოდ დამკვირვებლის როლში იქნებით და სანერვიულო არ გექნებათ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**29 იანვარი:** როგორც ჩანს, თქვენ და თქვენი შინაგანი სამყარო ვიღაცისთვის ამოუცნობ გამოცანად დარჩება. რას მოიმოქმედებთ ამის გამო, თქვენი გადასაწყვეტია.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**29 იანვარი:** საკუთარ თავში ეგოიზმის ყოველგვარი გამოვლინება უნდა აღკვეთოთ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვების ყველა პრობლემას უნდა გადაჰყვეთ.

**ლომი 23.07-22.08**
**29 იანვარი:** დასვენებისა და კომფორტის მიმართ დაუოკებელი ლტოლვა გაგიჩნდებათ. ეს ცუდი არ არის, მაგრამ გადაუდებელ საქმეებს მაინც მიხედეთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**29 იანვარი:** თქვენი ამოცანა გარშემომყოფთა შთაგონება და დარიგებების მიცემა იქნება. თავად საქმეებში მონაწილეობა არ მიიღოთ, რჩევებით შემოიფარგლეთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**29 იანვარი:** რა საქმეებითაც არ უნდა იყოთ დაკავებული, დიდი ძალისხმევა არაფერზე არ დაგჭირდებათ. ყველაფერს საფუძვლიანად გაართმევთ თავს.

**მორიელი 23.10-21.11**
**29 იანვარი:** ამ დღეს მიმდინარე მოვლენები თქვენ ან არ შეგეხებათ, ან ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. შეეცადეთ, ზედმეტად არაფერში ჩაერიოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**29 იანვარი:** შეიძლება ვიღაცამ რაღაც საქმეში გამოგიწვიოთ. უარი არ უთხრათ და ეს ისე მიიღეთ, თითქოს ამ საქმეს მთელი ცხოვრების მანძილზე აკეთებთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**29 იანვარი:** კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სანანებლად გაგიხდებათ საქმე. ამბიციებს თუ მოთოკავთ, მოგებული დარჩებით.

**მერწყული 20.01-18.02**
**29 იანვარი:** შეეცადეთ, დეტალებში ქექვას შეეშვათ და სიტუაცია მთლიანობაში გააანალიზოთ. ძალიან საინტერესო და სასარგებლო დასკვნებს გამოიტანთ.

**თევზები 19.02-20.03**
**29 იანვარი:** კარგად ათვისებული მოქმედებების სქემა, რომელსაც დღემდე იყენებდით, უნდა შეცვალოთ. ამ შემთხვევაში შეამჩნევთ რაღაც საინტერესოს, რომელიც არაფრად მიგაჩნდათ.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 74 99 89
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი
(15 საათიდან)

## ელექტრობის „მოპოვება“ ადამიანის... ცხვირიდანაც შეიძლება?



ვინც განსაკუთრებით „ნიჭიერია“, ის ყოველთვის პოულობს ხოლმე ძალიან საინტერესო რამეს იქაც კი, სადაც ძებნას აზრი არ აქვს.

აბა, წარმოიდგენდით, ცხვირში რამე სასარგებლოს მოძებნა თუ შეიძლებოდა და მით უმეტეს, ელექტროენერგიის?!

არ გჯერათ და ვისაც სჯერა, ის გამოატარეთ, კაცო!

ტექნოლოგია, რომელსაც ამერიკელი მკვლევარები გვთავაზობენ, პიეზოელექტრო ეფექტზეა დაფუძნებული, რომელიც სუნთქვის ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება.

მიკროელექტრონიკისა და ნანოტექნოლოგიების მიღწევები შესაძლებლობას იძლევა, შეიქმნას შორი მოქმედების ციცქნა ბიოიმპლანტანტები, რომლებიც, თავის მხრივ, ადამიანს მისცემს უნიკალურ შანსს, სისხლში გლუკოზის დონე აკონტროლოს, ან კიდევ, უზრუნველყოს კარდიოსტიმულატორის შეუჩერებელი მუშაობა. ამ ყველაფრისთვის კი ენერგიაა საჭირო, თუნდაც უმნიშვნელო რაოდენობით.

ამერიკელი მეცნიერების თქმით, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს კვების მინიატურული წყაროების შექმნას, როცა ადამიანს თავად შეუძლია ენერგიის გამომუშავება იმავე ცხვირში თითის შეყოფით, ან გნებავთ, სისხლის მიმოქცევით, სუნთქვის შედეგად გამოყოფილი სითბოთი და ასე შემდეგ.

როდის მიიღებენ ან უკვე აქვთ თუ არა ამერიკელებს რეალური შედეგი, მიიღონ ბუნებრივი ენერგია ადამიანისთვის მართლაც ძალიან სერიოზული საკითხების გასაკონტროლებლად, რატომღაც, აღარ ზუსტდება, თუმცა რადგან ამ თემაზე ჩამოვარდა სიტყვა, ალბათ, სიახლეებს უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ორი კვირის წინ ბრიტანელებმა გამოიგონეს ჩიპი, რომელიც დიაბეტის მქონე ადამიანებს კანქვეშ უმაგრდებათ და სისხლში მომხდარ ცვლილებებს აკონტროლებს, თუმცა მათ ვერ შეძლეს უწყვეტი ენერგიის წყაროს გამოგონება. თუკი ნისლიან ალბიონზე ამერიკელების ამ უცნაური და ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი აღმოჩენით დაინტერესდებიან, ალბათ, მედიცინა კიდევ უფრო წინ წასვლას შეძლებს.

*science.computlenta.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ორი დეპუტატი სათევზაოდ წავიდა. ცოტა წაითევზავეს, ჩამოსხდნენ საჭმელად და გულახდილად საუბარი დაიწყეს:

– ავთანდილოვიჩ, ავარიის მერე რატომ ხარ ასეთი დაღვრემილი?

– რა ვიცი... გადავწყვიტე, არჩევნებიდან ჩემი კანდიდატურა მოვხსნა.

– რატომ, კაცო, რატომ?!

– შურისძიების მეშინია და იმიტომ – ავარია მომივიდა იმ გზაზე, რომლის დაგების პირობასაც უკვე 5 წელია ვიძლევი, შევეჯახე იმ საბავშვო ბაღის ფუნდამენტს, რომელიც 3 წლის წინათ უნდა ამეშენებინა და მოვხვდი იმ საავადმყოფოში, რომლის გარემონტების პირობა სამჯერ მაქვს დადებული.

– ეს ყველაფერი ხომ უბრალო დამთხვევაა, მეტი არაფერი!

– ჰო, შეიძლება დამთხვევაა, მაგრამ ახალი მორგის აშენების პირობის მიცემა უკვე მოვასწარი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
№ 211359457
გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.02